

• Visegrad Fund

**მიგრაციის პოლიტიკის ანალიზი
ვიშეგრადის, დასავლეთ ბალკანეთისა და
აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში**

(სლოვაკეთი, ჩეხეთი, ჩრდილოეთ მაკედონია და სერბეთი)

**თბილისი
2025**

ISBN 978-9941-525-26-1



9 789941 525261

**მიგრაციის პოლიტიკის ანალიზი
ვიშეგრადის, დასავლეთ ბალკანეთისა და
აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში**

(სლოვაკეთი, ჩეხეთი, ჩრდილოეთ მაკედონია და
საქართველო)



წარმოდგენილი კვლევა განხორციელდა ოთხი უნივერსიტეტის მიერ ვიშეგრადის ფონდის დაფინანსებულ N22410079 პროექტის ფარგლებში. კვლევა წარმოადგენს თითოეული ქვეყნის მიგრაციის როგორც პოლიტიკის ასევე სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზს 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ პერიოდში.

ავტორები:

- იაროსლავ მიჰალიკი, ტრნავის წმინდა კირილე და მეთოდის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)
- მიხაილ გარაი, ტრნავის წმინდა კირილე და მეთოდის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)
- ლუციე მაცკოვა, პალაცკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
- ნიკოლა მედოვა, პალაცკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
- ლარისა ვასილესკა, წმ. კლიმენტ ოჰრიდსკის უნივერსიტეტი - ბიტოლა (ჩრდილოეთ მაკედონია)
- მარიამ ჯიქია, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (საქართველო)
- დიმიტრი გეგენავა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (საქართველო)

წარმოდგენილი ნაშრომი ხელმისაწვდომია 5 ენაზე (ინგლისური, ქართული, ჩეხური, სლოვაკური და მაკედონიური).

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2025

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაჩის №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-525-26-1

სარჩევნო

სლოვაკეთის მიგრაციის პოლიტიკა – ანბარიში

სლოვაკეთის მიგრაციის პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა 5
მიგრაციის სამართლებრივი ჩარჩო სლოვაკეთში 6
მიგრანტები და ლტოლვილები 2022 წლამდე 9
უკრაინელი ლტოლვილები 2022 წლის ომის შემდეგ 12
უკრაინული დიასპორის მახასიათებლები 2022 წლის ომამდე და მას შემდეგ 15
უკრაინული დიასპორის სამართლებრივი პოზიცია 2022 წლის შემდეგ 19
მიგრაციის პოლიტიკური განხორციელება 20
რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები სლოვაკეთის კანონმდებლობაში 21
პოლიტიკური პარტიებისა და სხვა დაინტერესებული აქტორების პოზიციები 23
რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის პოზიციები 25
სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება 26
დასკვნა 30
ბიბლიოგრაფია 31

ჩეხეთის მიგრაციის პოლიტიკა – ანბარიში

შესავალი 37
უკრაინელების მიგრაცია 38
ინსტიტუციები 39
მიგრაციის სტრატეგია 40
მიგრაციის პოლიტიკის ხარვეზები 40
ბიბლიოგრაფია 41

ჩრდილოეთ მაკედონიის მიგრაციის პოლიტიკა – ანბარიში

მიგრაციის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი 43
კვალიფიციური მუშახელის მიგრაცია 46
მიგრაციის სამართლებრივი ჩარჩო ჩრდილოეთ მაკედონიაში 48
უკრაინელთა მიგრაცია – კრიზისი და საპასუხო ქმედებები 52
სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები 56
გამოწვევები 56
ბიბლიოგრაფია 57

საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა – ანბარიში

მიგრაციის ისტორიული კონტექსტი 59
მიგრაციის ტენდენციები 60
მიგრაციის სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში 63
საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში 67
მიგრაციის მართვის გამოწვევები 68
მიგრაციის პოლიტიკის განვითარების ტენდენციები და აუცილებელი რეფორმები 69
ბიბლიოგრაფია 70

1. სლოვაკეთის მიგრაციის პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა

ანგარიში წარმოადგენს მიგრაციული ტენდენციების, პოლიტიკისა და გამოწვევების მიმოხილვას სლოვაკეთში, განსაკუთრებული ყურადღებით უკრაინელი ლტოლვილების გამოცდილებაზე სლოვაკეთში. როგორც ევროკავშირისა (EU) და შენგენის ზონის წევრი, სლოვაკეთის მიგრაციული ლანდშაფტი ფორმირდება ეროვნული და ტრანსნაციონალური ფაქტორების რთული ურთიერთქმედებით. ანგარიში განიხილავს მიგრაციის რამდენიმე ძირითად ასპექტს, მათ შორის დემოგრაფიულ ტენდენციებს, საკანონმდებლო ჩარჩოს, ინტეგრაციის სტრატეგიას და სლოვაკეთის წინაშე მდგომ გამოწვევებს.

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სლოვაკეთი არის ცენტრალურ ევროპაში მდებარე ქვეყანა, რომელიც ესაზღვრება სამხრეთ-დასავლეთით ავსტრიას, დასავლეთით ჩეხეთს, სამხრეთით უნგრეთს, ჩრდილოეთით პოლონეთს და აღმოსავლეთით უკრაინას. მიუხედავად სლოვაკეთის სტრატეგიული მდებარეობისა, ისტორიულად იგი არ ყოფილა იმიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილების ტრადიციული დანიშნულების ადგილი.

სლოვაკეთის საიმიგრაციო პოლიტიკამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ასახავს ქვეყნის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოებებს. პოსტსოციალისტურმა ეპოქამ შექმნა ახალი მიგრაციული პატერნები, როდესაც სლოვაკეთი ემიგრაციის ქვეყნიდან გარდაიქმნა იმიგრაციის დანიშნულების ლოკაციად. ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდგომ პერიოდში სლოვაკეთისთვის დამახასიათებელი ემიგრაციის ნაკადები იყო, თუმცა ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ (2004 წელი), იმატა იმიგრაციულმა ნაკადებმა.

სლოვაკეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის სამი ათეული წლის განმავლობაში, უცხოელების შემოდინება თანდათან იზრდებოდა. ბარგეროვა (2016) ამტკიცებს, რომ 1993 წლიდან 2004 წლამდე, მიგრაციის თემა პრაქტიკულად არ არსებობდა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და მედია დისკურსში; არ ახდენდა გავლენას მოსახლეობის ღირებულებებსა და იდეოლოგიურ პრეფერენციებზე; არც პოლიტიკური პარტიების ნარატივებზე (Hlinčíková, Mesežnikov, 2016).

აღნიშნული მდგომარეობის შეცვლა განაპირობა 2015-2016 წლებში სირიიდან ლტოლვილთა ნაკადებმა, როდესაც ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა.

ამ სიტუაციამ წარმოშვა პოლიტიკური პოპულიზმის ახალი ტალღა, ნაციონალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმის ზრდა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ცენტრალური ევროპის, მათ შორის სლოვაკეთის პოლიტიკურ განვითარებაზე. სტოიაროვას მიხედვით, ჩეხოსლოვაკეთის ორივე სახელმწიფო ხასიათდებოდა ემიგრაციით, და არა იმიგრაციით 1989 წლის ხავერდოვანი რევოლუციამდე (Stojárová, 2019). ჩეხეთის რესპუბლიკისგან

განსხვავებით, სლოვაკეთმა შეინარჩუნა თავისი სტატუსი, განსაკუთრებით 2022 წლამდე, რაც განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის, სლოვაკური ნაციონალიზმისა და პოპულიზმის გავლენა სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეულ წლებში, პოლიტიკური არასტაბილურობა 1990-იანი წლების განმავლობაში, ეკონომიკის ტრანსფორმაცია და ქვეყნის დაბალი შემოსავლების დონე. შედეგად, სლოვაკეთი წარმოადგენდა ტრანზიტის ქვეყანას და არა საბოლოო დანიშნულების ადგილს მიგრანტებისთვის.

როგორც ყველა შენგენის ზონის სახელმწიფო, სლოვაკეთი უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა და საქონლის თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ხელმომწერს სახელმწიფოთა იურისდიქციაში, თუმცა მკაცრად აკონტროლებს შენგენის მიღმა საზღვრებს. 2022 წლის თებერვალში, სლოვაკეთის მთავრობის რეზოლუციის საფუძველზე შემოღებული საგანგებო სიტუაციის გამო შემოღებულ იქნა სპეციალური ღონისძიებები (Ministry of Interior of the Slovak Republic, 2023). მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ნებადართული აქვთ შესვლა სლოვაკეთში უკრაინიდან, თუ ისინი ვერ ასრულებენ შენგენის ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნებიდან ერთ ან მეტ პირობას, როგორცაა მგზავრობის დოკუმენტების ან ვიზის წარდგენა. სლოვაკეთის რესპუბლიკის სამიგრაციო პოლიტიკის თვალსაზრისით, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მისი კანონმდებლობა შესაბამისობაშია ევროკავშირის რეგულაციებთან. არა ევროკავშირის მოქალაქეებს, როგორც წესი, სჭირდებათ ვიზა ან ბინადრობის ნებართვა სლოვაკეთში ცხოვრებისა და მუშაობისთვის (Ministry of Foreign and European Affairs of the Slovak Republic, 2023).

სლოვაკეთი უზრუნველყოფს უცხოელი მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვების მრავალფეროვნებას, მათ შორის დროებითი და მუდმივი ბინადრობის ნებართვას; ისინი გაცემულია ისეთი მიზნებისთვის, როგორცაა დასაქმება, განათლება, ოჯახის გაერთიანება, ან ბიზნეს შესაძლებლობები და ინვესტიციები. თავშესაფრის პოლიტიკის თვალსაზრისით, სლოვაკეთი მონაწილეობს ევროპულ საერთო თავშესაფრის სისტემაში (CEAS). თავშესაფრის მაძიებლებმა უნდა გაიარონ კონკრეტული სამართლებრივი პროცედურები მათი ლტოლვილის სტატუსთან შესაბამისობის დასადგენად. მიუხედავად იმიგრანტებისა და ლტოლვილების სლოვაკეთის საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით განხორციელებული მრავალი ინიციატივისა, ეს სფერო რჩება პრობლემური. არსებული პროგრამებისა და პოლიტიკის უმეტესობა ეხება ენის კურსებსა და კულტურულ ინტეგრაციას (Plavnická, Šlosár, 2017; Štefančík, Lenč, 2012; Bargerová, Divinský, 2008; Divinský, 2005).

2. მიგრაციის სამართლებრივი ჩარჩო სლოვაკეთში

სლოვაკეთის მიგრაციული პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ისე ევროკავშირის დირექტივებში. როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, სლოვაკეთი თავის საიმიგრაციო რეგულაციებს აყალიბებს ევროპული ჩარჩოს შესაბამისად, რაც ხელს უწყობს კავშირის მასშტაბით მიგრაციის პოლიტიკის ჰარმონიზაციას.

სტოიაროვა სლოვაკეთში მიგრაციის კანონმდებლობას ჰყოფს ხუთ ეტაპად:

- 1992 წლის უცხოელთა კანონი, რომელიც მიღებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის ფედერალური რესპუბლიკის დროს (კანონი №123/1992);

- უცხოელთა შესახებ კანონი (კანონი №73/1995) და ლტოლვილთა შესახებ კანონი (კანონი №283/1995), რომლებიც მოქმედებდა 2002 წლამდე; აღნიშნული ნორმები შეიცვალა №48/2002 კანონით უცხოელთა ბინადრობის შესახებ და №480/2002 კანონით თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ;
- 2005 წელს მიღებული სლოვაკეთის რესპუბლიკის მიგრაციის კონცეფცია;
- 2009 წლის უცხოელთა ინტეგრაციის კონცეფცია და უცხოელთა ბინადრობის კანონი (კანონი №404/2011);
- უცხოელთა შესახებ კანონის შესწორებები (Stojarová, 2019).

მიგრაციასა და თავშესაფრის პოლიტიკის მოქმედი სტრატეგიული დოკუმენტები წარმოადგენენ ძირითად ჩარჩოს სლოვაკეთში -

- სლოვაკეთის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკა 2025 წლამდე.

წარსულში, სტრატეგიული დოკუმენტები ფოკუსირებული იყო შემდეგ დოკუმენტებზე:

- სლოვაკეთის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკა 2020 წლისთვის;
- სლოვაკეთის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკის კონცეპტუალური მიზნები 2011-2015 წლების პერიოდისთვის;
- უცხოელთა ინტეგრაციის კონცეფცია სლოვაკეთის რესპუბლიკაში 2009-2011;
- მიგრაციული პოლიტიკის კონცეფცია 2005-2010.

სლოვაკეთის ევროკავშირში გაწევრიანების წინა პერიოდში, მიგრაციასთან დაკავშირებით არ იყო მიღებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტები ეროვნულ დონეზე. მიგრაციული პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც მიღებულ იქნა მთავრობის რეზოლუციით №846/1993, წარმოადგენდა დოკუმენტს, რომლითაც სლოვაკეთის რესპუბლიკამ დაიწყო თავისი მიგრაციული პოლიტიკის ფორმირება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ. სლოვაკეთის მთავრობის ყურადღება ძირითადად იყო მიმართული თავშესაფრის პოლიტიკაზე, და არა მიგრაციული პოლიტიკის ფართო ჩარჩოზე (Práznovská, 2020). თუმცა, პრინციპების დოკუმენტმა ვერ მოახერხა ქვეყნის შიგნით უცხოური მიგრაციის სპეციფიკური მოთხოვნებისა და გამოწვევების გადაწყვეტა და შესაბამისად, დაექვემდებარა კრიტიკულ განხილვას (Divinský, 2009; Bolečeková, 2010).

პირველი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მიგრაციას არეგულირებდა სლოვაკეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, იყო სლოვაკეთის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკის კონცეფცია 2005 წელს. ეს დოკუმენტი განიხილება როგორც გარდამტეხი წერტილი სლოვაკეთის ისტორიაში (Bolečeková, Olejárová, 2018). კონცეფციის ძირითადი მიზანი იყო ევროკავშირის დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის გაადვილება, რითაც ხელს შეუწყობდა ევროკავშირის მცდელობას დაეწყო ერთიანი მიგრაციული პოლიტიკა. იგი განმარტავდა მიგრაციული პოლიტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს, რითაც საფუძველი ჩაეყარა შემდგომ თანამედროვე მიგრაციული პოლიტიკის ევოლუციას (Slovak Business Agency, 2015).

სლოვაკეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ქვეყანა თანდათან გახდა უცხოელი მიგრანტების დანიშნულება, და არა მხოლოდ ტრანზიტის ქვეყანა (Androvičová, 2015). შესაბამისად, მიგრაციის საკითხი უნდა მოგვარებულიყო უფრო სტრატეგიულ და რთულ დონეზე, რასაც ადასტურებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) სტატისტიკური მონაცემები. სლოვაკეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ,

ლეგალურად მცხოვრები უცხოელების რიცხვი სლოვაკეთში თითქმის თორმეტჯერ გაიზარდა, კერძოდ, 22,108 მიგრანტიდან 278,595-მდე (International Migration Organization, 2023). 2011 წელს დამტკიცდა დოკუმენტი პერსპექტივა 2020 წლამდე, რომელიც წარმოადგენდა ძირითად დოკუმენტს სლოვაკეთის მთავრობის თანამედროვე და მიზანმიმართული პოლიტიკის განვითარებისთვის მიგრაციის სფეროში (სლოვაკეთის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკა: პერსპექტივა 2020 წლამდე, 2011). დოკუმენტის მიღების მიზანი იყო ეროვნული ინტერესების ევროკავშირის მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის სტანდარტებთან შესაბამისობა. პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს შორისაა ღონისძიებები უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანის უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების შესრულების უზრუნველსაყოფად (Práznovská, 2020). წარმოიშვა ახალი სადისკუსიო თემა სლოვაკეთის მიგრაციის უსაფრთხოების დისკურსში, კერძოდ კულტურული საფრთხისა და შემოთავაზებული ინტეგრაციის მოდელი, რომელიც ჰგავს ასიმილაციას, რაც ქმნის გარკვეულ სტერეოტიპებს მიგრანტების შესახებ უარყოფით განზომილებაში (Lidák, Štefančík, 2022; Androvičová, 2015).

სლოვაკეთის რესპუბლიკის უახლესი მიგრაციული პოლიტიკა ეყრდნობა სლოვაკეთის მთავრობის მიერ 2021 წლის სექტემბერში მიღებულ დოკუმენტს - სლოვაკეთის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკა 2025 წლისთვის. დოკუმენტი განიხილავს რამდენიმე ძირითად საკითხს, მათ შორის სლოვაკეთის მიგრაციული პოლიტიკის ფუნდამენტურ მიზნებსა და პრიორიტეტებს შემდეგ სფეროებში: ლეგალური მიგრაცია, ეკონომიკური და შრომით მიგრაცია, კვალიფიციური სლოვაკი მუშახელის დაბრუნება, საერთაშორისო დაცვა, ინტეგრაცია, არარეგულარული მიგრაცია, რეადმისიის პროცედურები, ადამიანების ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, და სხვა.

სლოვაკეთის რესპუბლიკაში მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო სტანდარტი დადგენილია №480/2002 კანონით თავშესაფრის შესახებ., რომლის დებულებებიც მოიცავს:

- თავშესაფრის პროცედურას;
- განმცხადებლების, თავშესაფრის მაძიებლებისა და უცხოელების უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებსაც მიეცათ დამატებითი დაცვა;
- ინტეგრაციის საკითხს;
- თავშესაფრის ინსტიტუტებს;
- თანამშრომლობას უმაღლესი კომისრის ოფისთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- რეადმისიის პროცედურებს.

უცხოელთა ბინადრობის შესახებ №404/2011 კანონთან ერთად, სლოვაკეთის მთავრობამ დააწესა საკმაოდ მკაცრი საზღვრის კონტროლის მექანიზმები და არეგულირებს უცხოელების მიერ საზღვრის კვეთასა და ბინადრობას სლოვაკეთში (Kodaj, Dubová, 2013; Bachtíková, Bargerová, Grethe-Guličová, 2012).

თავშესაფრის კანონის §8-ის თანახმად, სლოვაკეთის რესპუბლიკა მიაჩნობს თავშესაფარს განმცხადებელს, რომელიც წარმოშობის ქვეყანაში ექვემდებარება დევნას:

- რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური ნიშნით;

- გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების ქონის ან გარკვეულ სოციალურ ჯგუფისადმი კუთვნილების გამო;
- თუ განმცხადებელი დევნილია პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების გამო (Ministry of Interior of the SR, 2023).

თავშესაფრის კანონის §13a-ის თანახმად, სლოვაკეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს დამატებით დაცვას, თუ განმცხადებელს არ მიენიჭა თავშესაფარი, მაგრამ არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში ის დაექვემდებარება:

- სიკვდილით დასჯას;
- წამებას ან არაადამიანური ან არაკუმანურ მოპყრობას ან დასჯას;
- ძალადობას საერთაშორისო ან ეროვნული შეიარაღებული კონფლიქტის დროს (Ministry of Interior of the SR, 2023).

თავშესაფრის კანონის §13b-ის თანახმად, სლოვაკეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს დამატებით დაცვას ოჯახის გაერთიანების მიზნით, თუ ამ კანონით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული:

- უცხოელის მეუღლისთვის, რომელსაც მიეცა დამატებითი დაცვა §13a-ის თანახმად, თუ ქორწინება გრძელდება და გრძელდებოდა იმ დროსაც, როდესაც უცხოელმა დატოვა წარმოშობის ქვეყანა და ამ უცხოელს წერილობითი წინასწარი თანხმობა აქვს გაერთიანებაზე;
- უცხოელის შვილებისთვის, რომელსაც მიეცა დამატებითი დაცვა §13a-ის თანახმად, ან ზემოაღნიშნულ პირს 18 წლამდე;
- უცხოელის მშობლებს, რომელსაც მიეცა დამატებითი დაცვა §13a-ის თანახმად, 18 წელზე უმცროს ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს, წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (Ministry of Interior of the SR, 2023).

მნიშვნელოვანი განსხვავება თავშესაფარსა და დამატებითი დაცვის უზრუნველყოფას შორის არის დრო: თავშესაფრის შემთხვევაში, ეს არის უცხოელის მუდმივი ბინადრობა სლოვაკეთის ტერიტორიაზე, დამატებითი დაცვის შემთხვევაში ეს არის დროებითი ყოფნა ერთი წლის ვადით, რომელიც შეიძლება კვლავ გაგრძელდეს ორი წლით არგუმენტირებული მიზეზის შემთხვევაში (Ministry of Interior of the SR, 2023).

3. მიგრაციები და ლტოლვილები 2022 წლამდე

სლოვაკეთის რესპუბლიკამ შემოიღო პრეფერენციული იმიგრაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკის მექანიზმი, რომელიც მოიცავს კონტროლირებადი ეკონომიკური მიგრაციის, ინტეგრაციის პოლიტიკისა და კვალიფიციური შრომითი ძალის მიგრაციის კონცეფციებს (Přívarová et al., 2022). სლოვაკეთის ევროკავშირისა და შენგენის ზონაში გაწევრიანებამ გამოიწვია არალეგალური მიგრაციის მნიშვნელოვანი შემცირება, მაშინ როდესაც ლეგალურმა მიგრაციამ მნიშვნელოვნად მოიმატა. თუმცა, უცხოელების რაოდენობა სლოვაკეთში რჩება შედარებით დაბალი, მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 5%-ის შესაბამისი (IOM, 2023). 2022 და 2023 წლების განმავლობაში, სლოვაკეთმა მიიღო მიგრანტების უწყვეტი ნაკადი, ძირითადად უკრაინიდან.

ცხრილი N1 ,მოიცავს თავშესაფრის განცხადებების რაოდენობას, , მიცემული თავშესაფრის, დაცვის, არახელსაყრელი გადაწყვეტილებებისა და თავშესაფრის პროცესის შეწყვეტის შესახებ 1993-2023 წლებში.

ცხრილი N1: თავშესაფრის განაცხადების რაოდენობა და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებები 1993-2023 წლებში

წელი	განაცხადების მთლიანი რაოდენობა	თავშესაფრის მიცემა	დაცვის მიცემა	უარყოფითი გადაწყვეტილება	პროცედურის შეწყვეტა
1993-2003	33289	459	x	1560	28499
2004	11395	15	x	1592	11782
2005	3549	25	x	827	2930
2006	2849	8	x	861	1940
2007	2642	14	82	1177	1693
2008	909	22	66	416	457
2009	822	14	98	330	460
2010	541	15	57	243	284
2011	491	12	91	120	232
2012	732	32	104	264	340
2013	441	15	34	137	292
2014	331	14	99	99	137
2015	330	8	41	72	128
2016	146	16	12	56	35
2017	166	29	25	34	73
2018	178	5	37	46	69
2019	232	9	19	51	179
2020	282	11	27	40	177
2021	370	29	13	90	212
2022	547	23	48	76	387
31.10.2023	379	28	39	67	285
ჯამი	60621	954	892	8158	50591

წყარო: სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2023a

N1 ცხრილის თანახმად, მიღებული განაცხადების რაოდენობამ მიაღწია წლიური მაქსიმუმს 2004 წელს - 11,395-ს. მას შემდეგ, განაცხადების რაოდენობა 2004 წლის 1 მაისიდან, საზღვრის გადაკვეთის პუნქტები ფუნქციონირებენ როგორც ერთჯერადი შემოწმების რეჟიმი, და რეგულარული შემოწმება სლოვაკეთსა და სხვა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გაუქმდა. 2005 წელს დაფიქსირდა მიგრანტების მიერ 5,178 უკანონო საზღვრის კვეთა, რაც 38%-ით შემცირებას წარმოადგენდა წინა წელთან შედარებით. ეს უკავშირდება უკანონო მიგრანტების მცდელობებს, რომ გამოიყენონ სლოვაკეთი სატრანზიტოდ, ან გამოიყენონ თავშესაფრის პროცედურები მათი ბინადრობის ლეგალიზებისთვის. ეს ჰიპოთეზა დადასტურდა თავშესაფრის მაძიებლების მიერ უკანონო გასვლის განმეორებითი შემთხვევებით, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ ავსტრიის საზღვრის გადაკვეთა (საზღვრისა და უცხოელთა პოლიციის წელიწდეული, 2005). ქვემოთ მოცემული ცხრილები წარმოადგენენ 2020-2021 წლებში უცხოელი და მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვების შესახებ. 2021 წელს, მესამე ქვეყნის მოქალაქეთა უმეტესობა იყო უკრაინელი, შემდეგ სერბი, მაშინ როდესაც ევროკავშირის მოქალაქეები ძირითადად იყვნენ ჩეხები, შემდეგ უნგრელები.

ცხრილი N2: უცხოელთა ბინადრობის რაოდენობა (2020/2021)

ეროვნება	31.12.2020 მდგომარეობით	31.12.2021 მდგომარეობით
მესამე ქვეყნის მოქალაქეები	90 806	111 427
ევროკავშირის მოქალაქეები	59 206	56 092
სულ	150 012	167 519

წყარო: უცხოელთა ლეგალური და არალეგალური სტატისტიკა სლოვაკეთში, 2021.

ცხრილი N3: მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეების ბინადრობის რაოდენობა

ბინადრობის სახეობა	31.12.2020 მდგომარეობით	31.12.2021 მდგომარეობით
დროებითი ბინადრობა	69 978	85 286
მუდმივი ბინადრობა	20 775	26 066
გამარტივებული ბინადრობა	53	75
სულ	90 806	111 427


წყარო: უცხოელთა ლეგალური და არალეგალური სტატისტიკა სლოვაკეთში, 2021

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, გაეროს შეფასებით, ლტოლვილები სლოვაკეთში შემდეგნაირად იყო განაწილებული:

- 2019 წლისთვის - 965, 2,88%-იანი ზრდა 2018 წელთან შედარებით;
- 2020 წლისთვის - 1006, 4,25%-იანი ზრდა 2019 წელთან შედარებით;
- 2021 წლისთვის - 1046, 3,98%-იანი ზრდა 2020 წელთან შედარებით;
- 2022 წლისთვის - 96 563, 91%-იანი ზრდა 2021 ელთან შედარებით;

- 2023 წლის ნოემბრისთვის - 105 104, 8,85%-იანი ზრდა 2022 წელთან შედარებით (Slovak Republic Refugee Statistics 1993-2023, 2023).

გრაფიკი N1: ლტოლვილი მოსახლეობა სლოვაკეთში 1993 – 2023 (ათას.)



წყარო: United Nations High Commissioner for Refugees (UNHCR) and UNRWA through UNHCR's Refugee Data Finder at unhcr.org/refugee-statistics

გაეროს შეფასებით, უკრაინაში ომის დაწყებამდე, ლტოლვილების რიცხვი შეადგენდა დაახლოებით 1000 ადამიანს წელიწადში 2019-2021 წლების განმავლობაში. ამ ლტოლვილების უმეტესობა მოდიოდა ავღანეთიდან და ერაყიდან, შემდეგ სერბეთი, კოსოვო, რუსეთის ფედერაცია და რუმინეთი. თუმცა, 2022 წლის სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. სლოვაკეთმა შექმნა კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც აადვილებს თავშესაფრის პროცესს უკრაინიდან ლტოლვილებისთვის უფრო სწრაფად, ვიდრე ტრადიციული თავშესაფრის პროცედურაა. ეს მექანიზმი ცნობილია როგორც დროებითი თავშესაფრის ინსტიტუტი (Integral Human Development, 2023).

3.1. უპრაინელი ლტოლვილები 2022 წლის ომის შემდეგ

სლოვაკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია უკრაინიდან უცხოელი მოქალაქეების სლოვაკეთის რესპუბლიკაში ვიზიტების რიცხვის აღრიცხვაზე N4 ცხრილის მონაცემები ორგანიზებულია სქესის და სამი ძირითადი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

2024 წლის იანვრის მდგომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაარეგისტრირა უკრაინის 114,343 მოქალაქეებისთვის დროებითი დაცვის გაცემა. უმეტესობა მათგანი ცდილობს დროებით დასახლდეს ბრატისლავის რეგიონში, რომელიც ახლოსაა დედაქალაქთან. 0-17 ასაკობრივ ჯგუფში სქესებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არსებობს. ქალების რაოდენობა ჭარბობს ორ ასაკობრივ ჯგუფში: 18-60 წლის და 60 ან მეტი. 18-60 წლის ასაკის შემთხვევაში, ქალები შეადგენენ დროებითი დაცვის მქონეთაგან თითქმის 75%-ს, 60 ან მეტი ასაკის ჯგუფში ქალები წარმოადგენენ დაახლოებით 66%-ს.


ცხრილი N4: სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებითი დაცვის მქონე პირთა რიცხვი რეგიონის, ასაკისა და სქესის მიხედვით (მონაცემები 2024 წლის იანვრის მდგომარეობით 2022 წლის 28.2-იდან)

რეგიონები	ასაკობრივი ჯგუფი									სულ
	0-17		0-17 სულ	18-60		18-60 სულ	60+		60+ სულ	
	კაცი	ქალი		კაცი	ქალი		კაცი	ქალი		
BB Region	1 193	1 124	2 317	675	2732	3407	187	424	611	6 335
BA Region	6402	6102	12506	7922	18761	26683	1016	2215	3231	42420
KE Region	2732	2388	5120	1772	6132	7904	521	1088	1609	14633
NR Region	1864	1752	3616	1567	5226	6793	203	537	740	11149
PO Region	1629	1528	3157	1134	3680	4814	311	640	951	8922
TN Region	1485	1440	2925	1134	4275	5409	169	410	579	8913
TT Region	1795	1653	3448	1289	4582	5871	213	579	792	10111
ZA Region	1990	1982	3972	1627	5354	6981	289	618	907	11860
Total	19090	17971	37061	17120	50742	67862	2909	6511	9420	114343

წყარო: სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2024

გრაფიკი N2 წარმოადგენს სამხედრო ინტერვენციის დაწყების დროს უკრაინიდან გადმოსული ნაკადების ილუსტრირებას. 2023 წლის დეკემბერში ბოლო განახლებული მდგომარეობით, უკრაინასთან საზღვრის გადაკვეთების მთლიანი რიცხვი შეადგენს 1,937,690-ს. 2023 წლის ივნისიდან, რიცხვები მოცემულია კვირეული ინტერვალებით, რაც მიუთითებს საზღვრის გადაკვეთების რიცხვის თანდათანობით შემცირებაზე.


გრაფიკი N2: უკრაინიდან საზღვრის გადაკვეთა – 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის 16 ნოემბრამდე (2023 წლის ივნისიდან საზღვრის გადაკვეთის შესახებ მონაცემები გაიანგარიშება კვირების საფუძველზე)



წყარო: UNHCR, 2024.

სლოვაკეთიდან უკრაინაში საზღვრის გადაკვეთების რიცხვს აქვს განსხვავებული განვითარების მრუდი. დაახლოებით 2022 წლის მაისიდან იწყება უკრაინელთა დაბრუნება თავიანთ ქვეყანაში. 2023 წლის დეკემბრის მიხედვით, საზღვრის გადაკვეთის მთლიანი რიცხვი შეადგენს 1,779,405-ს.


გრაფიკი N3: უკრაინაში საზღვრის გადაკვეთა - 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის 16 ნოემბრამდე (2023 წლის ივნისიდან საზღვრის გადაკვეთის შესახებ მონაცემები ანგარიშდება კვირეულ საფუძველზე)



წყარო: UNHCR, 2024.

უკრაინიდან სლოვაკეთში შესული ადამიანებისთვის დროებითი დაცვის სივრცითი განაწილება ძირითადად ოთხ მთავარ რეგიონზეა მოცემული. რუკა N1-ის მიხედვით, ყველაზე მაღალი კონცენტრაცია მოცემულია მიხალოვცეს რეგიონში სლოვაკეთის აღმოსავლეთ ნაწილში; მეორე - ბრატისლავას ახლომდებარე დასავლეთის რეგიონი; მესამე - პოვაჟიეს რეგიონი; მეოთხე რეგიონი - ლიპტოვსკის რეგიონი.

რუკა N1: მიცემული დროებითი დაცვების სივრცითი განაწილება (ათასობით, მონაცემები 2022 წლის 21.6-ის მდგომარეობით)



წყარო: სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022

3.2. უკრაინული დიასპორის მახასიათებლები 2022 წლის ომამდე და მას შემდეგ

სლოვაკეთის სტატისტიკის სამსახურს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია ბოლოს განახლებული აქვს 2024 წლის გაზაფხულზე. N5, N6 და N7 ცხრილებში მოცემულია 2014-2022 წლის მონაცემები, მათ შორის რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის პირველი წლის გათვალისწინებით.

ცხრილი N5: უკრაინელი ეროვნების მაცხოვრებლების რაოდენობა 2014-2022 წლებში

რეგიონი/ წელი	2022	2021	2020	2019	2018	2017	2016	2015	2014
SR	10 096	9768	11 455	11 025	10 501	10 033	9 639	9 253	8854
Bratislava Region NUTS2	2 272	2 108	1 873	1 647	1 502	1 404	1 288	1 189	1 030
Bratislava Region	2 272	2 108	1 873	1 647	1 502	1 404	1 288	1 189	1 030
Western Region NUTS2	1 626	1 550	1 386	1 306	1 234	1 155	1 082	1 014	954
Trnava Region	696	677	483	460	432	392	361	330	313
Trenčín Region	381	358	415	382	360	344	315	300	281

Nitra Region	549	515	488	464	442	419	406	384	360
Central Region NUTS2	1 076	1 060	1 056	1 026	1 007	954	920	887	871
Žilina Region	473	457	391	358	346	305	290	278	269
Banská Bystrica Region	603	603	655	668	661	649	630	609	602
Easter Region NUTS2	5 122	5 050	7 140	7 046	6 758	6 520	6 349	6 163	5 999
Prešov Region	2 911	2 899	4 178	4 180	4 120	4 048	4 012	3 972	3 930
Košice Region	2 211	2 151	2 962	2 866	2 638	2 472	2 337	2 191	2 069

წყარო: სლოვაკეთის სახელმწიფოს სტატისტიკის ოფისი, 2023a

უკრაინელი ეროვნების კაცების ყველაზე დიდი რაოდენობა (ცხრილი N6) კონცენტრირებულია რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში.

ცხრილი N6: უკრაინელი ეროვნების მაცხოვრებელთა მაჩვენებელი 2014-2022 წლებში სქესის მიხედვით: კაცები

რეგიონები /წელი	2022	2021	2020	2019	2018	2017	2016	2015	2014
SR	4270	4105	4819	4621	4352	4129	3951	3759	3569
Bratislava Region NUTS2	1006	931	876	780	706	661	607	560	488
Bratislava Region	1006	931	876	780	706	661	607	560	488
Western Region NUTS2	738	703	567	528	500	464	427	384	355
Trnava Region	355	346	222	205	192	171	156	138	129
Trenčín Region	146	136	161	149	140	136	122	111	100

Nitra Region	237	221	184	174	168	157	149	135	126
Central Region NUTS2	447	437	423	405	394	367	357	340	334
Žilina Region	207	196	164	144	137	113	109	105	101
Banská Bystrica Region	240	241	259	261	257	254	248	235	233
Easter Region NUTS2	2079	2034	2953	2908	2752	2637	2560	2475	2392
Prešov Region	1147	1124	1696	1705	1669	1635	1627	1609	1590
Košice Region	932	910	1257	1203	1083	1002	933	866	802

წყარო: სლოვაკეთის სახელმწიფოს სტატისტიკის ოფისი, 2023b

N7 ცხრილის მონაცემების თანახმად, სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკრაინელი ეროვნების ქალთა რაოდენობა აჭარბებს კაცთა რაოდენობას, დაახლოებით 42.7% (კაცები) - 57.7% (ქალები) თანაფარდობით.

ცხრილი N7: უკრაინელი ეროვნების მაცხოვრებელთა მაჩვენებელი 2014-2022 წლებში სქესის მიხედვით: ქალები


რეგიონი/წელი	2022	2021	2020	2019	2018	2017	2016	2015	2014
SR	5826	5663	6636	6404	6149	5904	5688	5494	5285
Bratislava Region NUTS2	1266	1177	997	867	796	743	681	629	542
Bratislava Region	1266	1177	997	867	796	743	681	629	542
Western Region NUTS2	888	847	819	778	734	691	655	630	599
Tnava Region	341	331	261	255	240	221	205	192	184

Trenčín Region	235	222	254	233	220	208	193	189	181
Nitra Region	312	294	304	290	274	262	257	249	234
Central Region NUTS2	629	623	633	621	613	587	563	547	537
Žilina Region	266	261	227	214	209	192	181	173	168
Banská Bystrica Region	363	362	406	407	404	395	382	374	369
Easter Region NUTS2	3043	3016	4187	4138	4006	3883	3789	3688	3607
Prešov Region	1764	1775	2482	2475	2451	2413	2385	2363	2340
Košice Region	1279	1241	1705	1663	1555	1470	1404	1325	1267

წყარო: სლოვაკეთის სახელმწიფოს სტატისტიკის ოფისი, 2023c

როგორც N2 რუკაში არის ნაჩვენები, უკრაინელთა უმეტესობა დასაქმებულია დასავლეთის რეგიონებისკენ. აღნიშნული რეგიონები სთავაზობს სამუშაო შესაძლებლობების ფართო სპექტრს სხვადასხვა ინდუსტრიაში.

რუკა N2: უკრაინელი ემიგრანტების დასაქმება (მონაცემები 2022 წლის ივნისის მდგომარეობით)



წყარო: სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022.

როგორც N8 ცხრილშია მოცემული, უკრაინელების უმრავლესობამ შეძლო დასაქმება ინდუსტრიულ სექტორში, მათ შორის, საავტომობილო ინდუსტრიაში, IT სექტორი, ჯანდაცვის სექტორში, განათლებისა და საჯარო მმართველობის სფეროში.

ცხრილი N8: უკრაინელი ემიგრანტების დასაქმება ინდუსტრიების მიხედვით (მონაცემები 2022 წლის ივნისის მდგომარეობით)

სექტორი	ინდუსტრია	IT სფერო	ჯანდაცვა და სოციალური მუშაობა	განათლება	საჯარო მმართველობა	სხვა
%	42,5%	24,7%	15,7%	7,3%	2%	7,8%

წყარო: სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022

სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, N9 ცხრილში ასახულია დასაქმების მაჩვენებელი პროფესიების მიხედვით.

ცხრილი N9: უკრაინელი ემიგრანტების ყველაზე ხშირად წარმოდგენილი პროფესიები

პროფესია	ინჟინრები	მშენებლები და სამშენებლო საქმიანობაში დასაქმებულები	დასუფთავების სამსახური	ოპერატორები	კვების ობიექტების მომსახურება
%	22,48%	18,61%	8,86%	8,45%	6,75%

წყარო: სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022

3.3. უკრაინული დიასპორის სამართლებრივი პოზიცია 2022 წლის შემდეგ

სლოვაკეთში არსებულ საკანონმდებლო სქემაში, ეროვნული უმცირესობების, მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხები მოხსენიებულია მხოლოდ ზოგად პერსპექტივაში, კონკრეტული ეროვნული უმცირესობების შესახებ სპეციფიკის გარეშე. ეროვნული უმცირესობების უფლებები დაცულია სლოვაკეთის კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით, რომლებიც აწესრიგებენ კონკრეტულ საკითხებს უმცირესობებთან მიმართებით. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობათა თანასწორობას, ეროვნული ასოციაციების ფორმირებას, განათლებისა და კულტურის ინსტიტუტების დაარსებას, საკუთარ ენაზე განათლების მიღებას. თუმცა აღნიშნული უფლებები არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს სლოვაკეთის სუვერენიტეტს (Constitution of the Slovak Republic).

ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები უზრუნველყოფილნი არიან არა მხოლოდ სამოქალაქო უფლებებით, არამედ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით, რომელთა რეალიზება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.

№ 184/1999 კანონი ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენების შესახებ, აწესებს პირობებს უმცირესობათა ენების გამოყენებისთვის ოფიციალურ კომუნიკაციაში, ადგილობრივ რეფერენდუმებში, საჯარო ინფორმაციის მიწოდებისას. კანონმდებლობა

აღიარებს შემდეგ ენებს: ბულგარული, ჩეხური, ხორვატული, უნგრული, გერმანული, პოლონური, რუმინული. რეგიონში, სადაც უმცირესობათა მოსახლეობა 20% შეადგენს, №191/1994 კანონის თანახმად, აუცილებელია საგზაო ნიშნების უმცირესობათა ენაზეც აღნიშვნა.

სლოვაკეთის რესპუბლიკაში მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებული ერთ-ერთი საკანონმდებლო ნორმაა კანონი № 480/2002, რომელიც არეგულირებს თავშესაფრის წარმოებას; განმცხადებლების, თავშესაფრის მამიებლებისა და დამატებითი დაცვას, უცხოელების უფლებებსა და ვალდებულებებს; საწყისი ინტეგრაციას; არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და სხვა (კანონი № 480/2002).

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, სლოვაკეთი იყოს ქვეყანა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ტრანზიტისთვის ან დროებით ადგილსამყოფელად (კვლევაში მონაწილე რესპოდენტების 71% პოზიცია) (IOM, 2022).

2023 წლის აგვისტოში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა უკრაინელი ლტოლვილების დაბრუნების პერსპექტივას. კვლევის რესპოდენტთა საერთო რაოდენობიდან (1903 ადამიანი) 95%-მდე იყვნენ ქალები. 2023 წლის 10 აპრილიდან 30 ივნისამდე დამუშავებული მონაცემების მიხედვით, უკრაინაში დაბრუნების მთავარი განზრახვაა მოკლე ვიზიტი (რესპოდენტთა 56%) და უკრაინაში დარჩენის გეგმა (რესპოდენტთა 40%). წარმოშობის რეგიონისგან განსხვავებული რეგიონების არჩევის შემთხვევაში, დაბრუნების განზრახვა ძირითადად მიმართულია ზაკარპატიის რეგიონზე (75%), ლვოვის რეგიონზე (7%) და დედაქალაქზე (6%). უკრაინაში გრძელვადიანი ყოფნის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზებად რესპოდენტებმა დაასახელეს სიტუაციის გაუმჯობესება (39%), ოჯახთან გაერთიანება (22%), ან სხვა (30%). გამოკითხულთა პასუხების მიხედვით, დაბრუნების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან საჭიროებებად დასახელდა ჯანმრთელობის დაცვა (53%), ფინანსური მხარდაჭერა (22%) და დასაქმება/სამუშაო (15%) (IOM, 2023).

4. მიგრაციის პოლიტიკური განხორციელება

სლოვაკეთში მიგრაციის პოლიტიკას სამი სამინისტრო მართავს: შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა და შრომის სამინისტროები. შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავარ როლს თამაშობს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებში, მის ფარგლებშია შექმნილი საზღვრისა და უცხოელთა პოლიციის ბიურო. საზღვრისა და უცხოელთა პოლიციის ბიურო შეიქმნა 2000 წელს სლოვაკეთის საზღვრების უსაფრთხოებისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ბიუროს აქვს შეზღუდული უფლებამოსილება თავშესაფრის პროცედურებისა და დუბლინის რეგულაციის აღსრულებაში (Ministry of Interior of the Slovak Republic, 2021). ის პასუხისმგებელია სლოვაკეთში უცხოელი მოქალაქეების ცხოვრებისა და საქმიანობის რეგულირებაზე.

საგარეო და ევროპული საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია ვიზებსა და საცხოვრებელ ნებართვებზე. ის ასევე ახორციელებს მიგრანტების რეპატრაციას, დეპორტაციებს და ამზადებს დაბრუნებას რეადმისიის შეთანხმებების შესაბამისად. 2015 წლიდან სამინისტრო ანაწილებს ჰუმანიტარულ დახმარებას ლტოლვილებისთვის. მან ასევე შექმნა სტიპენდიის

პროგრამა ლტოლვილებისთვის საზღვარგარეთ სასწავლებლად. სამინისტროში დაინიშნა მიგრაციის შესახებ სპეციალური მისიის ელჩი, რომლის კომპეტენციაა გარე მიგრაცია (Human Rights League, 2020). შრომისა და სოციალური საქმეების სამინისტრო კოორდინირებს უწევს უცხოელების ინტეგრაციასა და შრომით მიგრაციას (Human Rights League, 2020).

UNHCR-ის თანახმად, მილიონზე მეტმა უკრაინელმა და სხვა მესამე ქვეყნების მოქალაქეებმა გადაკვეთეს სლოვაკეთის საზღვარი, საიდანაც 78% იყვნენ ქალები და ბავშვები, მათ შორის ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ისინი, ვისაც სასწრაფო ჯანმრთელობის დახმარება სჭირდებოდა (UNHCR Ukraine Refugee Situation Operational Update, 2023). სლოვაკეთის სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივი მმართველობის დონეზე, საკმაოდ მომზადებულად შეხვდა ლტოლვილთა ნაკადს, ასევე უზრუნველყო ინფორმაცია დაცვის, ტრანსპორტირებისა და ჰუმანიტარული დახმარების შესახებ. მოხალისეებმა, კერძო სექტორმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და UNHCR-ის პერსონალმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ლტოლვილებისათვის დახმარების გაწევაში (UNHCR Ukraine Situation Regional Refugee Response Plan, 2023). 2022 წლის თებერვლისთვის სლოვაკეთმა დაარეგისტრირა უკრაინიდან 1.2 მილიონზე მეტი ადამიანის საზღვრის კვეთა, რომელთაგან 10%-მა მოითხოვა დროებითი დაცვა. ეს სტატუსი ხელმისაწვდომი იყო 2022 წლის 1 მარტიდან.

სლოვაკეთის მთავრობა მუშაობს UNHCR და გაეროს სხვა სააგენტოებთან, ასევე მიგრაციის საერთაშორისო ოფისთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან და მოხალისეებთან ლტოლვილთა დასახმარებლად. ამ პროცესის დასაჩქარებლად მთავრობამ შექმნა ცხელი წერტილები 2022 წლის 27 თებერვალს (UNHCR Ukraine Refugee Situation Operational Update, 2023).

4.1. რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები სლოვაკეთის კანონმდებლობაში

სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 28 თებერვალს ჩატარებული საგანგებო სესიიდან, სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოსულ უკრაინელებს მიეცათ უფლება მიემართათ დროებითი დაცვის სტატუსისთვის. მიღებული დირექტივის თანახმად, დროებითი დაცვის მოქმედების ვადა თავდაპირველად განისაზღვრა 2023 წლის 4 მარტამდე; ხოლო მთავრობის N185 რეზოლუციამ გაითვალისწინა დროებითი დაცვის ავტომატურ გაგრძელება 2024 წლის 4 მარტამდე (Government of the Slovak Republic, 2022b). სლოვაკეთმა მიიღო კანონი № 92/2022, რომელიც ასევე ცნობილია როგორც Lex Ukraine, უკრაინის ჰუმანიტარული კრიზისისა და ომის სიტუაციის მოსაგვარებლად (UNHCR Ukraine Situation Regional Refugee Response Plan, 2023). დროებითი დაცვა არ საჭიროებს ხანგრძლივ პროცედურას. Lex Ukraine-ის თანახმად, დროებითი დაცვა ენიჭება უკრაინის მოქალაქეებს:


- პირს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო ან ეკვივალენტური ეროვნული დაცვა უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვლამდე;
- უკრაინის მოქალაქის ან პირის ოჯახის წევრს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო ან ეკვივალენტური ეროვნული დაცვა უკრაინაში 2022 წლის 24

თებერვლამდე (თუ ოჯახის წევრი ცხოვრობდა უკრაინის ტერიტორიაზე 2022 წლის 24 თებერვლამდე);

- უცხოელს, რომელსაც 2022 წლის 24 თებერვლისთვის ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ნებართვა უკრაინაში და არ შეუძლია უსაფრთხოდ დაბრუნება სამშობლო ქვეყანაში (UNHCR, 2023).

თავშესაფრის № 480/2002 აქტის მიმდინარე შესწორების საფუძველზე, მთავრობას შეუძლია მიაწოდოს დაცვა უკრაინის მცხოვრებლებს და მიაწოდოს მათ დახმარება ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე. დროებითი დაცვა უკრაინელ მოქალაქეებს აძლევს წვდომას შრომის ბაზარზე, ჯანდაცვაზე და, მათი ბავშვებისთვის, საგანმანათლებლო (Ministry of Interior of the Slovak Republic, 2022a).

სქემა 1: დროებითი დაცვა უკრაინელი ლტოლვილებისთვის სლოვაკეთში



წყარო: <https://www.unesco.org/en/ukraine-war/education/slovakia-support>

დროებითი დაცვა ხელმისაწვდომია უკრაინელი მოქალაქეებისა და მათი ნათესავებისთვის უკრაინული მოქალაქეობის გარეშე. ერთი პირობა, რომელიც მნიშვნელოვნად აჩქარებს დროებითი დაცვის განაცხადის განხილვის პროცესს, არის უნარი უზრუნველყოს პიროვნების საიმედო დამადასტურებელი მასალა. პირადობის მოწმობისა ან პასპორტის გარდა, განმცხადებლებს შეუძლიათ დაამტკიცონ თავიანთი ვინაობა მართვის მოწმობით დაბადების სერტიფიკატთან ერთად; მოქმედი ან არამოქმედი სამგზავრო დოკუმენტით და პირადობის დოკუმენტით. ალტერნატიულად, უკრაინელმა მოქალაქემ შეიძლება დაამტკიცოს თავისი ვინაობა ნებისმიერი სხვა დოკუმენტით ფოტოსურათთან ერთად დაბადების სერტიფიკატის თანხლებით. უკრაინელი მოქალაქე არ არის უფლებამოსილი დროებითი დაცვისთვის, თუ მას უკვე აქვს მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არის თავშესაფრის მაძიებელი ან უკვე მიენიჭა თავშესაფარი ან დამხმარე დაცვა (Ministry of Interior of the Slovak Republic, 2022a). შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო ბროშურა (2022b) შეიცავს დროებითი დაცვის ინსტიტუტის ძირითადი მოთხოვნების შეჯამებას, რომელიც ეხება საცხოვრებელს და მის ცვლილებას, ტრანსპორტს, ჯანდაცვას, დასაქმებას, განათლებას, მატერიალური საჭიროებების დახმარებას, ფინანსებს, სპორტსა და უსაფრთხოებას.

უკრაინისთვის სოლიდარობის პლატფორმამ აღნიშნა სლოვაკეთის რესპუბლიკის ეფექტური მიდგომა საცხოვრებლის დაგეგმვისა და დროებითი დაცვის სტატუსისადმი. საცხოვრებლის ბენეფიტის მოდელი დახმარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმაა.

სლოვაკეთის რესპუბლიკა ესტონეთთან ერთად შეირჩა ევროპული კომისიის მიერ კარგი პრაქტიკის მაგალითების სახით (Ministry of Interior of the Slovak Republic, 2022d).

4.2. პოლიტიკური პარტიებისა და სხვა დაინტერესებული აქტორების პოზიციები

რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, ყველა მთავარმა სახელმწიფო ინსტიტუტმა გამოხატა თავისი პოზიცია სიტუაციის შესახებ თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით ოფიციალურ ვებგვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა მედიაში. სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ჰეგერმა დაგმო პუტინის ქმედებები და მხარი დაუჭირა უკრაინის თავდაცვის უფლებას (Government Office of the Slovak Republic, 2022a). ამას მოჰყვა სლოვაკეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობის მოლაპარაკებები.

2022 წლის 24 თებერვალს სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზუზანა ჩაპუტოვამ დაგმო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ქმედებები, ხაზი გაუსვა უკრაინის თავდაცვის უფლებას და აღნიშნა, რომ მშვიდობის დამყარება იყო აბსოლუტური პრიორიტეტი. ეროვნული საბჭოს პრეზიდენტ ბორის კოლართან ერთად ისინი დაესწრნენ სლოვაკეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების საბჭოს სხდომას (President of the Slovak Republic, 2022). 2022 წლის 25 თებერვალს ჩატარდა საგანგებო სესია უკრაინის სიტუაციის შესახებ, რომლის შედეგი იყო რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ უკრაინაზე განცხადების პროექტის მიღება. ამ საფუძველზე NRSR-მა დაგმო რუსეთის ფედერაციის ქმედებები უკრაინის წინააღმდეგ და მიმართა რუსეთს, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა თავისი სამხედრო ოპერაცია (National Council of the Slovak Republic, 2022).

2023 წელს NRSR-ში არჩეული ამჟამინდელი პოლიტიკური პარტიებიდან SMER-SD-მ, HLAS-SD-მ და SaS-მა მიიღეს სპეციფიკური პოზიცია, სადაც მათ გამოაქვეყნეს განცხადებები სამხედრო შეჭრის დაწყებაზე რეაგირების სახით. SNS არ გამოეხმაურა პირდაპირ რუსეთის სამხედრო ჩარევას უკრაინაში, თუმცა 2022 წლის 23 თებერვლის გამოეხმაურა სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოსვლას კრიტიკით (SNS, 2022a), და მხოლოდ 2022 წლის 4 მარტის ანგარიშში მოუწოდა ყველა მედიას ობიექტურად ეცნობებინა უკრაინის კონფლიქტის შესახებ (SNS, 2022b). SMER-SD პარტიამ თავისი წევრების გამოქვეყნებულ სტატიებში დაგმო ვლადიმირ პუტინის ქმედებები, მაგრამ ამავდროულად არსებობს დანართი უკრაინის სიტუაციის შავ-თეთრი აღქმის უარყოფის შესახებ (SMER-SD, 2022). 2022 წლის 22 თებერვლის პრეს-რელიზში HLAS-SD მოუწოდა მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტისკენ უკრაინაში რუსეთის სამხედრო ჩარევის პირდაპირი გაკიცხვის გარეშე (HLAS-SD, 2022). 2022 წლის 22 თებერვლის განცხადებაში SaS-მა მკაცრად დაგმო რუსეთის ქმედებები უკრაინის წინააღმდეგ. პარტიამ ვლადიმირ პუტინს აგრესორი უწოდა და თქვა, რომ SaS აშკარად უკრაინის მხარეს იყო. მან მხარი დაუჭირა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს (SaS, 2022).

სლოვაკეთის ეროვნულმა უსაფრთხოების სააგენტომ დაბლოკა ოთხი დეზინფორმაციის ვებსაიტი 2022 წლის მარტში. ეს იყო კიბერაქტის შესწორების შედეგი, რომელიც ასევე იყო დაკავშირებული უკრაინის სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებთან. მიზეზი იყო ინტერნეტში მავნე ან შეცდომაში შემყვანი შინაარსის ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილება. ოპოზიციურმა პარტიებმა (SMER-SD, LSNS და REPUBLIKA) ისაუბრეს

ცენზურაზე. კოალიციის არგუმენტი იყო, რომ სლოვაკეთი ასევე შეიძლება იყოს რუსეთის მხრიდან ჰიბრიდული ომის ობიექტი (Zvercová, 2022). ეს ინფორმაცია საუკეთესოდ ასახავს კოალიციისა და ოპოზიციური პარტიების, ასევე იმდროინდელი სლოვაკეთის მთავრობის ლიდერების პოზიციას. ედუარდ ჰეგერის (OLANO) ხელმძღვანელობით სლოვაკეთის მთავრობამ და მისმა კოალიციურმა პარტნიორებმა SAS-დან, SME RODINA-დან და ZA LUDÍ-დან დაუყოვნებლივ მხარი დაუჭირეს უკრაინას (საგარეო და ევროპული საქმეთა სამინისტრო, 2023). სლოვაკეთმა ასევე მხარი დაუჭირა ევროკავშირის სანქციებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ხაზი გაუსვა პუტინის რეჟიმის ეკონომიკურ და დიპლომატიურ იზოლაციის აუცილებლობას (Ogrodnik, 2022).

შრომისა და სოციალური საქმიანობის სამინისტრო (MoLSA) აყალიბებს შრომითი მიგრაციის პოლიტიკას და დასაქმებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. ის განსაზღვრავს დასაქმების ავტორიზაციის პირობებს, აწვდის უცხოელებს და დამსაქმებლებს ინფორმაციას დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ და უზრუნველყოფს საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებას (Ministry of Labor and Social Affairs, 2024). ჩეხეთის შრომის ოფისი, MoLSA-ს ქვეშ, არეგულირებს შრომის ბაზარს, და ხელს უწყობს შრომით მიგრაციას. მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო (2024) მნიშვნელოვანი მოქმედი პირია მაღალკვალიფიციური მიგრანტებისთვის განკუთვნილი პროგრამებისთვის.

ჩეხეთის რესპუბლიკაში მიგრაციაზე მომუშავე პირველ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის იყო 1991 წელს ლტოლვილთა დასახმარებელი ორგანიზაცია (OPU, 2024), 1992 წელს ემიგრანტებთან მომუშავე მოქალაქეთა ასოციაცია (SOZE, 2024), და 1997 წელს ინტეგრაციის საკონსულტაციო ცენტრი (PPI) (ინტეგრაციის საკონსულტაციო ცენტრი, 2024). სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციებია SIMI (2024), მულტიკულტურული ცენტრი პრადა (2024), და ექსპატ ცენტრი ბრნო (2024). მიგრანტთა დახმარების ორგანიზაციების კონსორციუმი (2024), დაფუძნებული 2003 წელს, არის უდიდესი პლატფორმა მიგრაციის სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. ის მოიცავს თვრამეტ მთავარ ორგანიზაციას და უწევს კოორდინაციას მათ შორის თანამშრომლობას. კონსორციუმი ფოკუსირებულია

მიგრანტების უფლებებზე, სამართლიან პირობებზე, და უცხოელებს აწვდის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ რეკომენდაციებს. არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები ამ სფეროში (People in Need, 2024; META, 2024; უცხოელთა ინტეგრაციის ცენტრი, 2024; AMIGA, 2024; InBáze, 2024 და Caritas, 2024).

4. მიგრაციის სტრატეგია

ჩეხეთის რესპუბლიკის მიგრაციული სტრატეგია (Ministry of the Interior, 2015), რომელიც ჩამოყალიბებულია “ჩეხეთის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკის სტრატეგიაში” (დამტკიცებული 2015 წელს), ფოკუსირებულია დაბალანსებულ და მოქნილ მიდგომაზე როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ მიგრაციასთან მიმართებაში. მისი მთავარი პრინციპები მოიცავს უცხოელი მოქალაქეების ინტეგრაციის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ერთიანობის საჭიროებას. სტრატეგია აღიარებს მიგრაციას როგორც დინამიკურ პროცესს. გარდა ამისა, ჩეხეთი ისწრაფვის ოჯახების გაერთიანების გზების გაძლიერებისკენ და მაღალკვალიფიციური მუშაკებისთვის სამუშაო მობილობის გაუმჯობესებისკენ. გარდა ამისა, ქვეყანა მუშაობს სექტორული პრიორიტეტების განვითარებაზე, რათა უკეთ შეუსაბამოს მიგრაციული პოლიტიკა ეკონომიკურ ზრდასა და გრძელვადიან მიზნებს.

ჩეხეთის შრომითი მიგრაციის სტრატეგია მეტ-ნაკლებად ფოკუსირებულია შრომის ბაზრის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, ამავდროულად პოლიტიკის გამჭვირვალობისა და კონტროლის უზრუნველყოფაზე. კვოტებზე დაფუძნებული სისტემა განსაზღვრავს არაევროკავშირის მუშაკების მაქსიმალურ რაოდენობას წლიურად ეკონომიკური მიგრაციის ეფექტური მართვისთვის. უკრაინელი ლტოლვილების კრიზისის საპასუხოდ შეიქმნა სტრატეგია, რომლის მიხედვითაც დროებითი დაცვის დირექტივამ მისცა მუშაობის შესაძლებლობა 100 000-ზე მეტ უკრაინელ ლტოლვილს ჩეხი მოქალაქეების მსგავსი პირობებით. მთავრობის ინიციატივამ, როგორცაა nasiukrajinci.cz პლატფორმა, ხელი შეუწყო შესაბამისი სამსახურების მოძიებასა და ინტეგრაციას, თუმცა გამოწვევები, როგორცაა განთავსება და ბავშვების მზრუნველობა, რჩება პრობლემად (European Commission, 2024; nasiukrajinci.cz, 2024).

2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდგომ, ჩეხეთის რესპუბლიკა საწყის ფაზაზე ფოკუსირებული იყო დაუყოვნებელ მხარდაჭერაზე, ხოლო მიმდინარე საშუალო ვადიანი ფაზაზე პრიორიტეტი მიენიჭა ლტოლვილებისთვის პირობების სტაბილიზაციას, როგორცაა ენის კურსები, საცხოვრებელი, დასაქმება, ჯანდაცვა და განათლება. მესამე ფაზა გულისხმობს გრძელვადიან ინტეგრაციას. სტრატეგია მოიცავს განთავსების გაუმჯობესებას, ლტოლვილების შრომის ბაზარში ინტეგრაციას და განათლების სისტემების გაძლიერებას, რათა მოიცვას სტუდენტების დიდი ნაკადი. ის ასევე ფოკუსირებულია ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე ლტოლვილებისთვის (European Website on Integration, 2022).

5. მიგრაციის პოლიტიკის ხარვეზები

პოლიტიკურ ხარვეზებს შორის შეიძლება იყოს ინფორმაციის გაზიარების სიმწირე სხვადასხვა სააგენტოებსა და სამინისტროებს შორის. სახელმწიფო ინტეგრაციის სერვისების გაუმჯობესება (და მეტი უფასო ენის კურსების უზრუნველყოფა) შეიძლება

იყოს კიდევ ერთი გზა უცხოელების ჩეხეთში ინტეგრაციაში დასახმარებლად. სახელმწიფო ინტეგრაციის პროგრამა (SIP) ხელმისაწვდომია მხოლოდ აღიარებული ლტოლვილებისთვის და არა დროებითი დაცვის მქონე პირებისათვის (Macková, 2024). გარდა ამისა, აღიარებული მიგრანტებისთვის სტატუსის შეცვლის შესაძლებლობის მიცემა არის კიდევ ერთი მთავარი ინიციატივა, რომელიც შეიძლება დაეხმაროს დროებითი დაცვის მქონე პირებს, რომელიც ამ ეტაპზე გულისხმობს ეკონომიკურად აქტიური დროებითი დაცვის მქონე პირებს, მაგრამ არა ყველას.

განათლებაზე წვდომა, განსაკუთრებით ბავშვი, რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. ჩეხური სკოლის ინსპექციის მიხედვით, ბავშვის მეხუთედს არ შეუძლია ყველა ბავშვისთვის საჭირო ადგილების უზრუნველყოფა. ეს დეფიციტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვების განათლებასა და განვითარებაზე, არამედ მშობლების შესაძლებლობაზე სრულად მონაწილეობა მიიღონ შრომის ბაზარში (European Commission, 2024).

ანალოგიურად, ჯანდაცვის სისტემა მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ არის, გაზრდილმა მოთხოვნამ გამოიწვია უფრო ხანგრძლივი მოლოდინის დრო და გადატვირთული დაწესებულებები. მიგრანტები ხშირად აწყდებიან დამატებით ბარიერებს, როგორცაა ენობრივი სირთულეები და ჯანდაცვის სისტემის უცოდინრობა, რამაც შეიძლება შეაფერხოს მათი წვდომა საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე. ამ საკითხების დარეგულირება გადამწყვეტია მიგრანტების კეთილდღეობისა და ჩეხეთის საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად (European Commission, 2024).

ბიბლიოგრაფია

AMIGA. (2024). *Homepage*. <https://www.amiga-migrant.cz/>

Botlík, J., & Botlíková, M. (2022). Ukrainian crisis - regional analysis of migration in the context of Czechia. In *XXV. Mezinárodní kolokvium o regionálních vědách* [25th International Colloquium on Regional Sciences]. <https://munispace.muni.cz/library/catalog/view/2157/6239/3634-1>

Caritas Czech Republic. (2024). *Homepage*. <https://www.charita.cz/en/>

Center for Integration of Foreigners. (2024). *Homepage*. <https://www.cicops.cz/en/>

Consortium of Migrants Assisting Organizations. (2024). *Homepage*. <https://migracnikonsorcium.cz/en/>

Counselling Center for Integration. (2024). *About us*. <https://p-p-i.cz/o-nas/?lang=en>

European Commission. (2022). *Czech Republic: 'Lex Ukraine' law package enters into force*. https://migrant-integration.ec.europa.eu/library-document/czech-republic-lex-ukraine-law-package-enters-force_en

European Commission. (2024). *Governance of migrant integration in Czechia*. https://migrant-integration.ec.europa.eu/country-governance/governance-migrant-integration-czechia_en

European Website on Integration. (2022). *Czech Republic: Determination of strategic priorities of the government of the Czech Republic to deal with the refugee wave related to the invasion of*

Ukraine by the Russian Federation. https://migrant-integration.ec.europa.eu/library-document/czech-republic-determination-strategic-priorities-government-czech-republic-deal_en

Expat Center Brno. (2024). *Homepage.* <https://www.brnoexpatcenter.eu/>

Filipec, O., Macková, L., & Medová, N. (2024). The role of the regional administration in helping Ukrainian refugees in the Czech Republic. *Scienze Regionali*, 2, 1-24. <https://doi.org/10.14650/112973>

InBáze. (2024). *Homepage.* <https://inbaze.cz/>

Klimešová, M., Šatava, J., & Ondruška, M. (2022). *Situace uprchlíků z Ukrajiny* [The situation of refugees from Ukraine]. MPSV ČR. https://migrant-integration.ec.europa.eu/system/files/2023-04/Vyzkumna_zprava_uprchlici-z-Ukrajiny_2023_0.pdf

Macková, L. (2024). *Case study: Czech Republic.* IGMPD. <https://www.migrationpartnershipfacility.eu/knowledge/resources/47-mapping/212-mapping-legal-pathways-czech-republic-summary-2024>

META. (2024). *Homepage.* <https://meta-ops.eu/>

Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic. (1999). *Act No. 326/1999 Coll., on the residence of foreign nationals in the territory of the Czech Republic.* https://mzv.gov.cz/file/517833/Act_on_the_Residence_of_Foreign_Nationals_1.pdf

Ministry of Industry and Trade of the Czech Republic. (2024). *Homepage.* <https://www.mpo.gov.cz/en/>

Ministry of Labor and Social Affairs of the Czech Republic. (2004). *Act No. 435/2004 Coll., on employment.* <https://www.mpsv.cz/documents/20142/1060370/Act+on+employment+6.9.2019.pdf/62d6b861-d871-b52e-44d5-9aa765965d1a>

Ministry of Labor and Social Affairs of the Czech Republic. (2024). *Homepage.* <https://www.mpsv.cz/web/en>

Ministry of the Interior of the Czech Republic. (2015). *Strategie migrační politiky* [Migration policy strategy]. <https://mv.gov.cz/clanek/strategie-migracni-politiky-cr.aspx>

Ministry of the Interior of the Czech Republic. (2023). *Roční zprávy o situaci v oblasti migrace a integrace cizinců v České republice za roky 2001-2023* [Annual reports on the situation in the field of migration and integration of foreigners in the Czech Republic for 2001–2023]. <https://mv.gov.cz/migrace/clanek/rocnizpravy-o-situaci-v-oblasti-migrace-a-integrace-cizincu-v-ceske-republice-za-roky>

1. მიგრაციის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი

ჩრდილოეთ მაკედონია მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სახმელეთო საზღვრით ალბანეთთან, ბულგარეთთან, საბერძნეთთან, კოსოვოსა და სერბეთთან. 2500 წლიანი ისტორიის განმავლობაში მაკედონიის რესპუბლიკა ხასიათდებოდა მიგრაციული ნაკადებით მისი რეგიონული და სტრატეგიული მახასიათებლების გამო.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულის ბოლოს გაიზარდა მიგრაციული ნაკადები ბალკანეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით, დასავლეთ ბალკანეთში. რეგულარული მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ლანდშაფტზე.

გეოპოლიტიკური მდგომარეობის ანალიზისას გამოვლინდა რომ ბალკანეთის რეგიონი ძირითადად ხასიათდება ევროკავშირისკენ ტრანზიტული ზონის მახასიათებლებით. ბალკანეთის ქვეყნები იშვიათად განიხილება როგორც უკანონო მიგრანტების საბოლოო დანიშნულების ადგილი.

ჩრდილოეთ მაკედონიის ოფიციალური მონაცემები ამ ეტაპზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:



წყარო: Prague Process Secretariat, 2024

2015 წლის ხმელთაშუა ზღვის კრიზისმა ხაზი გაუსვა ჩრდილოეთ მაკედონიის მნიშვნელოვან როლს მიგრაციის მარშრუტებში, როცა 800,000-ზე მეტმა ადამიანმა გადმოკვეთა მისი საზღვრები. მაკედონია წარმოადგენს ცენტრალურ ჰაბს ბალკანეთში, აფრიკიდან და აზიიდან უკანონო მიგრანტების რაოდენობამ პიკს 2015 წელს მიაღწია, რაც გამოწვეული იყო სირიაში კონფლიქტით (Mileski & Pacemska, 2022).



წყარო: UNHCR

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) განმარტებით, მიგრაცია მოიცავს ფართო სპექტრს, მათ შორის ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას, ასევე შიდა და საერთაშორისო მოძრაობებს, იქნება ეს გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი. ის ითვალისწინებს მიგრაციის სხვადასხვა მოტივს, როგორცაა ეკონომიკური მიზეზები, პოლიტიკური დევნა, და უკეთესი გარემოს ძიება, ოჯახის გაერთიანება, კონფლიქტი, ან ამ ფაქტორების კომბინაცია. ემიგრაცია, მეორე მხრივ, განისაზღვრება როგორც საცხოვრებელი ქვეყნის ან საცხოვრებელი ადგილის დატოვების აქტი სხვაგან დასახლების მიზნით (Vitorino & Touzenis, 2019).

ლტოლვილები არიან ადამიანები, რომლებიც გაერიდნენ მათი წარმოშობის ქვეყნიდან ისეთი გარემოებებს, როგორცაა ძალადობა, კონფლიქტი, დევნა და საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას. ლტოლვილის კონცეფცია განისაზღვრება 1951 წლის კონვენციაში, სხვადასხვა რეგიონალურ ინსტრუმენტებსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდებაში. აუცილებელია მიგრანტისა და ლტოლვილის მართებულად გამოიწვიოს, რადგან მათმა გათანაბრებამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი დაცვის მექანიზმების გამოყენება მართი უფლებების დაცვის დროს.

მაკედონიის რესპუბლიკას აქვს გრძელი ისტორია მიგრანტებთან და ლტოლვილებთან მიმართებით. XIX საუკუნის ბოლოდან, კონფლიქტებმა, მათ შორის ბალკანეთის ომებმა (1912–1913), პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა, ბერძნულმა სამოქალაქო ომმა (1945–1949), კოსოვოს კონფლიქტმა და 2001 წლის შიდა უსაფრთხოების კრიზისმა გამოიწვია მიგრაციის თანმიმდევრული ტალღები, რასაც ბოლო პერიოდში ასევე მოჰყვა 2015/2016 წლის კრიზისი.

1946–1949 წლების ბერძნული სამოქალაქო ომის დროს და მის შემდეგ, დამარცხებული კომუნისტური ძალების წევრები ან მხარდამჭერები გაიქცნენ საბერძნეთიდან, როგორც პოლიტიკური ლტოლვილები. 1949 წლისთვის, 100,000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა საბერძნეთი და გადასახლდა იუგოსლავიასა და ჩეხოსლოვაკიაში.

საბერძნეთის კომუნისტური პარტია ამტკიცებს, რომ პოლიტიკური ლტოლვილების საერთო რაოდენობა იყო 55,881, თუმცა აღსანიშნავია, რომ მიგრანტებს შორის 28,000–32,000

იყო ბავშვი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის 1951 წლის დოკუმენტი აცხადებს, რომ მაკედონელი ლტოლვილების საერთო რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს საბერძნეთი სამოქალაქო ომის დროს დევნის გამო, იყო 213,000-ზე მეტი (Human Rights Watch/Helsinki, 1994).

1991 წელს იუგოსლავიისგან დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, გარდამავალმა პროცესმა მნიშვნელოვნად იმოქმედა მყიფე ეკონომიკაზე, რომელმაც განიცადა ალდგენის პერიოდი ყოფილ იუგოსლავიურ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების შეწყვეტის ან რესტრუქტურირების გამო (Madjevikj, Apostolovska Toshevska, Gorin & Ljakoska, 2016). 1999 წლის მოვლენებმა კოსოვოში და 2001 წლის კონფლიქტმა მაკედონიაში ასევე მნიშვნელოვნად გაამწვავა მდგომარეობა.

კოსოვოს ლტოლვილთა კრიზისი მაკედონიაში 1999 წელს იყო უნიკალური მისი უპრეცედენტო მასშტაბის თვალსაზრისით მოკლე ხანგრძლივობასთან შედარებით. მაკედონიას 1999 წელს ჰყავდა სულ 2,200,000-მდე მოსახლეობა. 1999 წლის მარტის ბოლოს, ნატოს საჰაერო კამპანიის დაწყების შემდეგ 9 კვირის განმავლობაში მაკედონიამ მიიღო 344,500 ლტოლვილი; 15-ჯერ მეტი, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

2015 წლის ლტოლვილთა ნაკადები საკმაოდ მასშტაბური იყო, თუმცა უმეტესი მათგანი მაკედონიის გავლით ცდილობდა ევროკავშირის წევს ქვეყნებში შეღწევის. სხვადასხვა კვლევების თანახმად, 1.2 მილიონზე მეტი ინდივიდი შევიდა ევროკავშირში ბალკანეთის გავლით (Glied, 2020). საზღვრებზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რასაც თან ახლდა მთავრობის მიერ სპეციალური აქტის მიღება. ეს აქტი მიგრანტებს აძლევდა საშუალებას, დაერეგისტრირებინათ თავშესაფრის მოთხოვნა ქვეყანაში შესვლისთანავე, რაც მათ 72 საათის ხანგრძლივობით დროებითი ნებართვის მიღების უფლებას აძლევდა.

2014 წელს წარდგენილი იყო 1,289 თავშესაფრის განცხადება, რის შედეგადაც მიღებული იყო 13 დადებითი გადაწყვეტილება. 2015 წელს ეს ციფრი გაიზარდა 435,907 განცხადებამდე, მაგრამ მხოლოდ 3 დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. 2016 წელს განცხადებების რაოდენობა შემცირდა 89,152-მდე 6 დადებითი გადაწყვეტილებით. ეს ციფრები გვიჩვენებს მნიშვნელოვან რყევებს იმიგრაციის ტენდენციებში (Greider, 2017).

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) აღნიშნა თავის 2015 წლის ანგარიშში, რომ ქვეყანა იცავდა საერთაშორისო სტანდარტებს, ქვეყნის შიგნით არსებულ სამართლებრივ ჩარჩოსა და ადმინისტრაციულ პროცედურებს, თუმცა ასევე აღნიშნავს, რომ ამ დადებითი განვითარების მიუხედავად, პრაქტიკაში რჩება მნიშვნელოვანი სისუსტეები..."

სახელმწიფოს ოფიციალური სტატისტიკა მიუთითებს, რომ 2021 წელს 19,895 ინდივიდმა გაიარა ქვეყანა; 2022 წელს - 27,425, 2023 წლის აგვისტოს მონაცემებით - 8,882, რაც გულისხმობს 50%-იან შემცირებას. მაკედონიაში თავშესაფრის მიღების ინტერესი შედარებით დაბალია, რასაც ადასტურებს მხოლოდ 100 განაცხადი 2021 წელს, 168 განაცხადი 2022 წელს, და 206 განაცხადი 2023 წლის ივლისის ბოლოსთვის. განმცხადებლების ძირითადი წარმოშობის ქვეყნებია სირია, მაროკო, ავღანეთი, პაკისტანი და ერაყი. დადებითი გადაწყვეტილების მაჩვენებელი შედარებით დაბალია, მხოლოდ

ორმა ინდივიდმა (ერთი ავღანეთიდან და ერთი მაროკოდან) მიიღო დამხმარე დაცვა 2023 წელს (UNHCR's Global Law and Policy Database, 2024b).

UNHCR, სახელმწიფო ხელისუფლებასა და სხვა შესაბამის აქტორებთან თანამშრომლობით, ერთგულია იძულებით გადაადგილებული პირებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვის უზრუნველყოფისთვის. ანგარიშებისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც UNHCR-მა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროდან, 2024 წლის დასაწყისიდან, ოქტომბრის მდგომარეობით, 269 ადამიანმა წარადგინა განაცხადი თავშესაფრის უფლების აღიარებისთვის და იმავე პერიოდში, 6 ადამიანი აღიარებულ იქნა როგორც ლტოლვილი. მაკედონიის რესპუბლიკაში თავშესაფრის განაცხადის წარმდგენ ადამიანებს შორის დომინირებენ სირიელები, მაროკოელები, თურქები, კონგოელები, ჩინელები (მონაცემები მოწოდებული იქნა UNHCR-ის წარმომადგენლის მიერ მაკედონიაში პირადი კომუნიკაციის გზით, 2024 წლის 12 დეკემბერი).

2. კვალიფიციური მუშახელის მიგრაცია

2015 წლის შემდგომ ჩრდილოეთ მაკედონიაში მიგრაციის ტენდენციებში გარკვეული ცვლილებებია, რომლებმაც ასახვა ჰპოვა მაკედონიის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკის 2015-2020 წლების რეზოლუციაში და 2021-2025 წლებისთვის დადგენილი ზომებისა და საქმიანობების ჩარჩოებში.

დღევანდელი მონაცემებით, 700,000-ზე მეტი მაკედონელი მოქალაქე ცხოვრობს საზღვარგარეთ, რაც შეადგენს დაახლოებით 38%-ს ქვეყანაში მცხოვრები საერთო მოსახლეობისა. ემიგრანტების ნაკადი ხელს უწყობს ეროვნულ ეკონომიკას, რაც შეადგენს დაახლოებით მშპ-ის 2% (Ministry in charge of Diaspora, 2019).

ბოლო ათწლეულებში საზღვარგარეთ ემიგრაციის მასშტაბისა და სტრუქტურული მახასიათებლების შესახებ შესაბამისი მონაცემების არარსებობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მაკედონიის რესპუბლიკის მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ოფიციალურად აცხადებს მათ ტრანზიტულ და მუდმივ ბინადრობას საზღვარგარეთ. ამ მდგომარეობის გამოსწორების მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზა და სახელმწიფო სტატისტიკური ოფისის რეგულარული სტატისტიკური კვლევა ამჟამად მხოლოდ ასახავს იმ ადამიანების რაოდენობას, ვინც ოფიციალურად განაცხადა თავისი წასვლისა და საზღვარგარეთ საცხოვრებლის შესახებ. ამის მიუხედავად, ეს მონაცემები უზრუნველყოფს ღირებულ შეხედულებას საზღვარგარეთ გადასული ადამიანების დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე, ასევე ძირითად ფაქტორებზე, რომლებმაც ჩამოაყალიბა ეს მიგრაციული ნაკადები 2015 წლის შემდეგ.

2015-2019 წლების პერიოდში, სახელმწიფო სტატისტიკური ოფისის მონაცემები მიუთითებს, რომ 2104 მაკედონელი მოქალაქემ დატოვა სამშობლო. ყოველწლიურად საზღვარგარეთ გადასული ადამიანების რაოდენობა მერყეობს 141-დან (2017 წელს) 612-მდე (2019 წელს) (State Statistical Office of the Republic of North Macedonia). მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები არ ასახავს ემიგრაციის რეალურ მოცულობას, მათ საფუძველზე დგინდება რომ მაკედონელი მოქალაქეების ყველაზე ხშირი მიმღები ქვეყნებია გერმანია, შვეიცარია, იტალია, ავსტრია და სლოვენია. კონტინენტს გარეთ, მსგავსი ნაკადები

აღსანიშნავია კანადაში, შეერთებულ შტატებში და ავსტრალიაში, ასევე, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებსა და კატარში.

უცხოური წყაროები (გაერო, მსოფლიო ბანკი) გვთავაზობს უფრო ზუსტ მონაცემებს მაკედონიის რესპუბლიკიდან ემიგრირებულების შესახებ. მონაცემები მიუთითებს საზღვარგარეთ მცხოვრები მაკედონელი მოქალაქეების საერთო რაოდენობის მუდმივ ზრდაზე ბოლო ათი წლის განმავლობაში, კერძოდ: 527,075 - 2010 წელს; 562,907 - 2015 წელს; 658,264 - 2019 წელს; 693,900 - 2020 წელს. მათი წილი ევროკავშირის მიმღებ ქვეყნებში შეადგენს 35.3% (2010), 38.4% (2015), და 37.5% (2019), მაშინ როცა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ის შეადგენს 64.7%, 61.6%, და 62.5%-ს (გაერო, 2020).

გაეროსა და მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 411,000 მაკედონელი მოქალაქე ცხოვრობს არაევროპულ ქვეყნებში 2019 წლის მდგომარეობით (აშშ, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია). ამ ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკა მიუთითებს, რომ ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკიდან იმიგრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება გაეროს, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოცემულ ციფრებს (Government of North Macedonia, 2021).

2019 წელს, გაეროს მონაცემებმა აჩვენა, რომ ჩრდილოეთ მაკედონიას ჰყავდა 658,264 ემიგრანტი, რაც შეადგენდა საერთო მოსახლეობის 31.7%-ს. საშუალოდ, ემიგრაცია შედგება მამაკაცების უფრო მაღალი პროცენტისგან (53.09%) ქალებთან შედარებით (46.90%). ჩრდილოეთ მაკედონიიდან ემიგრანტები ძირითადად გადადიან თურქეთში (29.69%), გერმანიაში (13.75%), იტალიაში (11.14%), შვეიცარიაში (10.16%), და ავსტრალიაში (7.84%). დამატებითი დანიშნულების ქვეყნები არის შეერთებული შტატები, ავსტრალია, ხორვატია, სლოვენია და კანადა (Datos Macro, 2019).

მაკედონელი ემიგრანტების უმეტესობა 25-49 წლის ასაკობრივ დიაპაზონშია, რაც ემთხვევა მათ შრომისუნარიან ასაკს. ტიპური მიგრაციული ნაკადი, რომელიც დაფიქსირებულია ოჯახებით მიგრირების დროს, მოიცავს პირველ ეტაპზე მამაკაცების გასვლას ქვეყნიდან სამუშაო შესაძლებლობების ძიების მიზნით, ხოლო შემდგომ ოჯახის გაერთიანების მიზნით ქალებისა და ბავშვების მიგრაცია. განათლების თვალსაზრისით, მაკედონელი ემიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ 43%, კლასიფიცირებულია როგორც დაბალკვალიფიციური, მაშინ როცა 30.7% ექვევა საშუალო უნარების კატეგორიაში. სიტუაცია იცვლება დანიშნულების ქვეყნის მიხედვით. მაღალკვალიფიციური მაკედონელები ჩვეულებრივ გადადიან კონტინენტალურ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია, მაშინ როცა დაბალკვალიფიციური ემიგრანტები ძირითადად მიდიან ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში და შვეიცარიაში. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიგრაციული ნაკადები ძირითადად მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებიდან. ეს ფენომენი დაკავშირებულია უმუშევრობასთან, დაბალ ხელფასებთან, სახელმწიფო სექტორში დასაქმებისთვის გრძელი მოლოდინის პერიოდთან (Migrants & Refugees Section, 2022).

მაკედონიის მთავრობის 2021-2025 წლების მიგრაციული პოლიტიკის სტრატეგია მკაფიოდ განსაზღვრავს მაღალკვალიფიციური მუშაკების მნიშვნელოვან ემიგრაციას, როგორც შრომითი ბაზრისათვის რისკს, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა

პროგრამირება, ინჟინერია, მედიცინა, კომპიუტერული მეცნიერება, ტექნოლოგია, მშენებლობა და ელექტროინჟინერია.

მაკედონიის რესპუბლიკაში 2021-2025 წლების მიგრაციული პოლიტიკის რეზოლუცია ფოკუსირებულია მაღალკვალიფიციური მუშახელის ემიგრირებით გამოწვეული ამჟამინდელი სიტუაციის დაძლევაზე, ასევე ეფექტური იმიგრაციის მართვაზე, კერძოდ, მზარდი უკანონო იმიგრაციის გამოწვევებთან გამკლავებაზე.

ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის საცხოვრებლისა და დროებითი ბინადრობის რეგისტრაციის შესახებ კანონის შესაბამისად, მოქალაქეები, რომლებიც გეგმავენ საზღვარგარეთ 3 თვეზე მეტი ხნით ცხოვრებას ან 12 თვეზე მეტი ხნით საზღვარგარეთ მუშაობას, უნდა აცნობონ მათი წასვლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ოფისს ან საზღვარგარეთ საკონსულოებს. თუმცა, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის მოქალაქეები ხშირად ვერ ახერხებენ მათი წასვლის რეგისტრაციას პირადი მიზეზების ან მათი იურიდიული ვალდებულების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო (Republic of North Macedonia, 2022).

3. მიგრაციის სამართლებრივი ჩარჩო ჩრდილოეთ მაკედონიაში

ევროპული და საერთაშორისო სამართლის ქვეშ, სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან ინდივიდების თავშესაფრის უფლება მიუხედავად მათი წარმოშობის ქვეყნისა. ყველა ევროკავშირის წევრი, როგორც ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და მისი 1967 წლის პროტოკოლის ხელმომწერი, ითხოვს სახელმწიფოებისგან დაცვის უზრუნველყოფას ინდივიდებისთვის, რომლებსაც აქვთ “კარგად დასაბუთებული შიში დევნისა რასის, რელიგიის, ეროვნების, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის, ან პოლიტიკური მოსაზრების გამო.”

ჩრდილოეთ მაკედონია 1991 წლიდან არის 1975 წლის მიგრანტი მუშაკების შესახებ კონვენციის ხელმომწერი, თუმცა, მაკედონიამ არ მოახდინა ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ 1990 წლის გაეროს საერთაშორისო კონვენცია რატიფიცირება. მაკედონია ასევე წარმოადგენს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის გაეროს კონვენციისა და მოქალაქეობის არმქონე პირების შესახებ 1954 და 1961 წლების გაეროს კონვენციების ხელმომწერი.

ეროვნულ დონეზე, მაკედონიის რესპუბლიკას აქვს საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული სამართლებრივი ჩარჩო როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური მიგრაციული ნაკადების რეგულირებისთვის, რომელიც აერთიანებს მიგრაციული პოლიტიკის შესაბამის ინსტრუმენტებს. 2009 წელს მიგრაციული პოლიტიკის პირველი რეზოლუციის მიღების შემდეგ, მიგრაციის კანონმდებლობა მუდმივად იყო შესაბამისობაში ევროპულ კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო სამართალთან და დადგენილ სტანდარტებთან.

ჩრდილოეთ მაკედონიაში მიგრაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს სამართლებრივ ნორმებს:

მაკედონიის რესპუბლიკის კონსტიტუცია (მუხლი 29) უზრუნველყოფს, რომ უცხოელები მაკედონიის რესპუბლიკაში სარგებლობდნენ კონსტიტუციით დაცული უფლებებითა და

თავისუფლებებით, კანონითა და საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მაკედონიის რესპუბლიკაში მიგრაციის რეგულირების ძირითადი კანონი არის **უცხოელთა შესახებ კანონი**, რომელიც მიღებული იქნა 2023 წელს, რომლის დებულებები ვრცელდება ყველა უცხოელზე, გარდა იმ უცხოელებისა, რომლებიც: ითხოვენ საერთაშორისო დაცვას მაკედონიისგან საერთაშორისო და დროებითი დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ამ კანონით) ან მათ, ვინც სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

უცხოელთა შესახებ კანონი მჭიდროდ არის შესაბამისობაში ევროკავშირის რეგულაციებთან. ტარდება მუდმივი შეფასება კანონმდებლობის პრაქტიკული იმპლემენტაციის შესახებ, რაც ხაზს უსვამს ჩართული მხარეების მიდგომებს და პოზიციებს. უცხოელთა შესახებ ახალი კანონი მოიცავს დებულებებს, რომლებიც გამიზნულია დროებითი და მუდმივი ბინადრობის ნებართვების მიღების კუთხით უცხოელების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. უცხოელების დასაქმების შესახებ კანონში ცვლილებებმა გაამარტივა პროცედურა თვითდასაქმებული უცხოელებისთვის სამუშაო ნებართვების მისაღებად და უზრუნველყო გაუმჯობესებული სიცხადე ბინადრობის წესების შესახებ. არასამთავრობო სექტორის წევრები აცხადებენ, რომ მუდმივი გაუმჯობესება მნიშვნელოვანია პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად.

უცხოელთა შესახებ კანონის საფუძველზე, მისი განხორციელებისთვის მიღებული იქნა შემდეგი აქტები:

1. წესდება უცხოელების შესახებ ("მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი" №190/2019),
2. წესდება უცხოელის მგზავრობისა და სხვა დოკუმენტების შესახებ ("ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი" №124/2020),
3. წესდება უცხოელთა მიღების ცენტრის შინაგანი წესების შესახებ ("ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი" №93/2020),
4. წესდება უცხოელებისთვის ვიზების გაცემის, გაგრძელების, მათი ვალიდურობის შემცირების, გაუქმებისა და გაბათილების, ასევე ვიზის ფორმისა და ჩანაწერების წარმოების შესახებ ("მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი" №71/2007),
5. დეკრეტი უცხოელთა ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის, მათ შორის თავშესაფარზე, მიგრაციასა და ვიზებზე მონაცემების შენახვის წესის, ასევე მონაცემთა ბაზის შენახვის პროცესში შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობის შესახებ ("მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი" №119/2012),
6. დეკრეტი უცხოელთა ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზაში, მათ შორის თავშესაფარზე, მიგრაციასა და ვიზებზე მონაცემებში დაცული მონაცემების კონფიდენციალურობის, დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ ("მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი" №119/2012),
7. დეკრეტი უცხოელთა ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზაში, მათ შორის თავშესაფრის მონაცემებზე, მიგრაციასა და ვიზებზე მონაცემებზე წვდომის მიცემის, წვდომის

დონების, წვდომის დონის განსაზღვრის კრიტერიუმების, წვდომის ხანგრძლივობის, შეწყვეტისა და წვდომის გაუქმების პროცედურის შესახებ ("მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი" №119/2012).

უცხოელების დასაქმებისა და მუშაობის შესახებ კანონმა 2007 წლის შემდგომ უამრავი ცვლილება განიცადა, რაც ემსახურებოდა სამუშაო სერტიფიკატის მიღების პროცესის გამარტივებასა და მაკედონიის რესპუბლიკის კომპანიებში დასაქმებული უცხოელი თანამშრომლების მობილურობის გაუმჯობესებას. ეს კანონი ასევე უზრუნველყოფს შიდა შრომითი ბაზრის დაცვას. უცხოელების დასაქმების შესახებ კანონი ბოლოს შეიცვალა 2016 წელს. ის ასევე განსაზღვრავს პირობებსა და პროცედურას მაკედონიის რესპუბლიკაში უცხოელების დასაქმებისა ან დასაქმებისთვის, თუ საერთაშორისო შეთანხმება სხვაგვარად არ ითვალისწინებს. თუ უცხოელი დასაქმების ხელშეკრულების საფუძველზე ამყარებს შრომითი ურთიერთობას დამსაქმებელთან, რომლის ადგილსამყოფელი ან საცხოვრებელი ადგილი არის მაკედონიის რესპუბლიკაში, ან თუ მათ მიღებული აქვთ თვითდასაქმებული პირის სტატუსი ამ ან სხვა კანონის შესაბამისად, ისინი განიხილებიან დასაქმებულებად (Law on Employment and Work of Aliens, 2007).

საზღვრის კვეთის შესახებ კანონი და უცხოელების გადაადგილებისა და ცხოვრების შესახებ კანონი, რომლის საფუძველზეც 2021 წლის ივნისში შეიქმნა მიგრაციული პოლიტიკის ახალი რეზოლუცია (2021–2025) და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.

თავშესაფრისა და დროებითი დაცვის შესახებ კანონი (2019) არეგულირებს მაკედონიაში თავშესაფრის მინიჭების პროცედურებს, იცავს თავშესაფრის მაძიებლების უფლებებს და ადგენს მთავრობის ვალდებულებებს ამ დაცვის უზრუნველყოფაში.

თავშესაფრის უფლება არის საერთაშორისო დაცვა, რომელსაც მაკედონიის რესპუბლიკა ანიჭებს, ამ კანონით განსაზღვრული პირობებითა და პროცედურით, შემდეგი კატეგორიის პირებს: ლტოლვილი (ლტოლვილი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1967 წლის პროტოკოლის მიხედვით) და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირი (Law on Asylum and Temporary Protection, 2003).

საერთაშორისო და დროებითი დაცვის შესახებ კანონი (LITP), რომელიც მიღებული იქნა 2018 წლის აპრილში, შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა, პრაქტიკაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ, ორწლიანი დაყოვნება ოჯახის გაერთიანებაში დროებითი დაცვის მიმღები ინდივიდებისთვის და თავშესაფრის მაძიებლების გადაადგილების შემზღვევადი ზომები. თავშესაფრის მაძიებლების პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის არარსებობა არის მნიშვნელოვანი დაბრკოლება კანონით დაცული უფლებების ეფექტური განხორციელებისთვის, მათ შორის სამუშაოს უფლებისთვის, ბანკში ანგარიშის გახსნის შესაძლებლობისთვის და განათლების ვალიდაციისთვის.

საერთაშორისო და დროებითი დაცვის შესახებ კანონი (2018) აძლევს საშუალებას თავშესაფრის მაძიებლებს მიიღონ დაწყებით და საშუალო განათლება, "მანამ, სანამ მათი სტატუსის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიიღება". სოციალური დაცვის შესახებ კანონი ავალდებულებს დაწესებულებას, რომელიც იღებს თავშესაფრის მაძიებელს, პასუხისმგებელ იყოს განათლებაზე წვდომის ხელშეწყობისთვის.

დაწყებითი განათლების შესახებ კანონი (2019) ეყრდნობა ძირითად პრინციპს, რომ უცხოური მოქალაქეობის მქონე ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ მაკედონიის რესპუბლიკაში, აქვთ დაწყებითი განათლების უფლება იმავე პირობებით, როგორც მაკედონიის რესპუბლიკის მოქალაქე ბავშვებს. კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას სქესის, რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, მოქალაქეობის, სოციალური ფონის, განათლების, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური რწმენის, სხვა რწმენების, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სოციალური სტატუსის, ან ნებისმიერი სხვა კრიტერიუმის საფუძველზე. დაწყებით სკოლაში მიღება მოითხოვს ინდივიდებისგან ვაქცინაციის მოწმობის წარდგენას. მოთხოვნა ვრცელდება როგორც მოქალაქეებზე, ასევე უცხოელებზე, მათი სტატუსის მიუხედავად.

საშუალო განათლების შესახებ კანონი (1995) ადგენს, რომ "უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ მიიღონ საშუალო განათლება; კანონის თანახმად, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ უფლება "მიმართონ საზღვარგარეთ მიღებული სერტიფიკატის ნოსტრიფიკაციას ან ექვივალენტურობის აღიარებას."

ადამიანთა ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია 2021-2025 წლების პერიოდისთვის დამტკიცდა 2021 წლის აპრილში, რომლის შესრულებასაც ზედამხედველობს ეროვნული კომისია. მისი ძირითადი ინსტიტუციური მიზანია მიაღწიოს დეცენტრალიზაციას მუნიციპალურ დონეზე ადგილობრივი კომისიების ჩამოყალიბების გზით.

ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკამ ხელი მოაწერა რეადმისიის შეთანხმებებს რამდენიმე ქვეყანასთან, მათ შორის ევროკავშირთან და მის მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა ხელი შეუწყოს იმ ინდივიდების დაბრუნებას, რომლებიც უკანონოდ შემოვიდნენ ქვეყანაში ან რომლებიც არ აკმაყოფილებენ თავშესაფრის კრიტერიუმებს.

ლტოლვილებისა და მიგრანტების ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის (შემდგომში სტრატეგია) რატიფიკაციის შემდეგ 2018 წელს შეიქმნა ლტოლვილებისა და უცხოელების ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა 2017-2027 წლების პერიოდისთვის (შემდგომში სამოქმედო გეგმა), რომელიც დაყოფილია 6 სხვადასხვა მოქმედების სფეროდ: სისტემის ინტეგრაცია, ადრეული ინტეგრაცია, საცხოვრებელი, განათლება, დასაქმება და ნატურალიზაცია. სამოქმედო გეგმაში მოცემული ყოველი მიზანი დაგეგმილია კონკრეტულ ვადებში, გამოყოფილი ინსტიტუციით, რომელიც პასუხისმგებელია მის განხორციელებაზე.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მრავალ საქმიანობას, რომელიც გააუმჯობესებს ქვეყანაში ლტოლვილთა უფლებების დაცვის სისტემას, ადგენს საბოლოო და ოპერაციულ ინტერ-მინისტერიალურ ერთეულს, რომელიც პერიოდულად ასრულებს სისტემური უთანასწორობების სამართლებრივ ანალიზებს, მათ შორის მიგრაციული ტენდენციების კვლევებს. ინსტიტუტების მონაწილეობა სამოქმედო გეგმაში გადაწყვეტილია, განსაკუთრებით როცა განვიხილავთ ბოლო წლებში ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ სიძულვილის ენასა და ქსენოფობიას, რაც მეტნაკლებად გამოწვეული იყო

პოლიტიკოსების ნარატივებითაც, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში (Macedonian Helsinki Committee, 2019).


ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ერთ-ერთ პირობად, მაკედონია მუშაობს მისი მიგრაციისა და საზღვრის კონტროლის პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე, რაც მოიცავს რეადმისიის შეთანხმებების განხორციელებას. მაკედონია თანამშრომლობს ევროპულ საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (ფრონტექსი) საზღვრის კონტროლისა და მართვის გასამდიერებლად, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთისა და სხვა რეგიონებიდან მიგრაციული ნაკადების კონტექსტში. ეს თანამშრომლობა მოიცავს ერთობლივ ოპერაციებს, ტექნიკურ მხარდაჭერასა და ტრენინგს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) აქტიურად მუშაობს მაკედონიაში, აწვდის რჩევებს ლტოლვილებთან მოპყრობის შესახებ, მხარს უჭერს თავშესაფრის პროცესს და უზრუნველყოფს, რომ ქვეყანამ დააკმაყოფილოს ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები.

4. უკრაინელთა მიგრაცია – კრიზისი და საპასუხო ჭმედებები

2022 წლის 22 თებერვალს დაწყებულმა ომმა განაპირობა ევროპისთვის ყველაზე დიდი მიგრაციული კრიზისი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ევროპამ კარი გაუღო 8 მილიონზე მეტ ლტოლვილს, რომლებიც ცდილობდნენ უკრაინაში მიმდინარე ომისგან თავის დაღწევას.

Share of refugees

Almost 8 million people have fled Ukraine since Russia's invasion, with the majority now in the European Union.
(Ukrainian refugees as a share of population)



Source: UNHCR; Eurostat; WEO Database; and IMF Staff Calculations.
Note: Refugee numbers as of December 1st.



2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში სამხედრო შეჭრის პასუხად, ევროკავშირმა სწრაფად იმოქმედა და გამოავლინა სოლიდარობა, რაც მოიცავდა პირდაპირ ჰუმანიტარულ დახმარებას, საგანგებო სამოქალაქო დაცვისათვის დახმარებას, საზღვრის მხარდაჭერას და

ომის გამო ევროკავშირში მიგრირებული ადამიანების დაცვის უზრუნველყოფას. ევროკავშირმა გააქტიურა დროებითი დაცვის დირექტივა, რომელიც მიღებული იქნა ევროკავშირის მიერ 2001 წელს, თავშესაფრის პროცედურების გამარტივებისა და თავშესაფრის (მათ შორის საარსებო საშუალებების) უზრუნველყოფის მიზნით.

დირექტივა განსაზღვრავს დროებით დაცვას როგორც განსაკუთრებული პროცედურას, რომელიც შექმნილია გადაუდებელი და დროებითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მესამე ქვეყნიდან გადაადგილებული ადამიანებისთვის, განსაკუთრებით, როცა არსებობს რისკი, რომ თავშესაფრის სისტემა ვერ გაუმკლავდეს გადატვირთულობის გამო (Council of the European Union, 2001). შესაბამისად, დირექტივა ემსახურება როგორც მექანიზმი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნას განსაკუთრებულ გარემოებებში, სადაც ქვეყნის თავშესაფრის სისტემას არ შეუძლია მართოს თავშესაფრის განცხადებების მოულოდნელად დიდი რაოდენობა. სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უკრაინელებს მიენიჭათ, მნიშვნელოვანია, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა ევროკავშირის ისტორიაში, როცა ევროპულმა კომისიამ შესთავაზა დროებითი დაცვის დირექტივის გააქტიურება.

ჩრდილოეთ მაკედონიამ, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი არ არის, ასევე გააქტიურა დროებითი დაცვა და მოახდინა მისი ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, უცხოელების საერთაშორისო და დროებითი დაცვის შესახებ 2018 წლის აქტში (თავი VIII).

2022 წლის 2 მარტს, მაკედონიის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა მიეცა დროებითი დაცვა უკრაინელი მოქალაქეებისთვის, რომელიც განახლდა მაკედონიის მთავრობის 2024 წლის 30 ივლისით №41-6564/3 გადაწყვეტილებით, რამაც განაპირობა დროებითი დაცვის ვალიდურობა 2025 წლის 8 აგვისტომდე.

მთავრობის გადაწყვეტილება ითვალისწინებს დროებით დაცვას უკრაინის მოქალაქეებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც: ა) შედიან ჩრდილოეთ მაკედონიის ტერიტორიაზე ომის, სიცოცხლისთვის საფრთხის, ან სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების ესკალაციის გამო; ბ) არიან ჩრდილოეთ მაკედონიის ტერიტორიაზე და ვერ ბრუნდებიან უკრაინის ტერიტორიაზე ომის, სიცოცხლისთვის საფრთხის, ან სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების ესკალაციის გამო (North Macedonia for Ukrainians).

მაკედონიის რესპუბლიკა არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო; თუმცა, მან გაკეთა ყველაფერი რეგულაციების გასამარტივებლად უკრაინელი მოქალაქეებისთვის, შესაბამისად, შესაძლებელია საზღვრის გადაკვეთა უცხოური პასპორტის გარეშე. საკმარისია იდენტობის დამადასტურებელი ეროვნული დოკუმენტი, როგორცაა პირადობის ან დაბადების მოწმობა. არასრულწლოვანთა შემთხვევაში, აუცილებელია დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ოჯახურ ან სხვა ურთიერთობას არასრულწლოვანთან (დაბადების მოწმობა, მშობლის თანხმობა ბავშვის თანხლებისა და გაყვანისთვის).

ჩრდილოეთ მაკედონიაში დროებითი დაცვის მისაღებად აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს - უცხოელების სექტორთან (Сектор за странци) მიმართვა.

მოქალაქეებს, რომლებსაც მიენიჭათ დროებითი დაცვა, გააჩნიათ:

- ბინადრობა 1 წლის ვადით და მისი გაგრძელების შესაძლებლობით;
- ფინანსური მხარდაჭერა RMG-ში, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების შესაბამისად (2024 წლის 07.08-ის მდგომარეობით, ფინანსური დახმარება არ მიეწოდებოდა უკრაინელ მოქალაქეებს დაფინანსების ნაკლებობის გამო);
- დასაქმება, საპენსიო და შეზღუდული შესაძლებლობის დაზღვევა;
- ძირითადი სამედიცინო მომსახურებები;
- დაწყებითი და საშუალო განათლება (North Macedonia for Ukrainians).

UNHCR-ის მიხედვით, 2023 წლის სექტემბრისთვის, 67.151 უკრაინელი ჩავიდა მაკედონიაში, რომელთაგან 47.846 უკვე დატოვა ქვეყანა. 2024 წლის 30 აპრილისთვის, UNHCR-ის მიხედვით, მაკედონიაში დარეგისტრირებულია 19.305 ლტოლვილი. 2023 წლის ივნისისთვის, 405 უკრაინელს მიღებული ჰქონდა დროებითი ბინადრობა მაკედონიაში და 2024 წლის აპრილისთვის, 41 უკრაინელმა მიმართა თავშესაფარს (UNCHR Operational Data portal - Ukraine Refugee Situation).


Other European countries

Country	Data Date	Refugees from Ukraine recorded in country as of date ⁽¹⁾	Refugees from Ukraine who applied for Asylum, TP or similar national protection schemes to date ⁽²⁾
Albania	5/31/2024	8,930	35
Armenia	7/17/2023	605	605
Austria	10/31/2024	84,620	122,975
Azerbaijan	10/1/2024	4,655	195
Belgium	9/30/2024	85,465	90,165
Bosnia and Herzegovina	10/31/2024	265	265
Croatia	10/31/2024	27,130	28,525
Cyprus	9/30/2024	18,740	23,425
Denmark	10/27/2024	37,825	57,760
Finland	10/31/2024	68,620	76,625
France	9/30/2024	64,840	111,220
Georgia	8/30/2024	28,640	1,625
Germany	11/2/2024	1,222,695	1,147,875
Greece	9/30/2024	32,315	32,570
Iceland	9/30/2024	3,950	4,790
Ireland	9/29/2024	110,960	110,960
Italy	9/30/2024	173,870	200,605
Liechtenstein	11/6/2024	675	1,085
Luxembourg	10/18/2024	3,855	7,160
Malta	9/30/2024	2,565	3,010
Montenegro	8/31/2024	21,245	12,155
Netherlands	9/30/2024	120,100	163,495
North Macedonia	4/30/2024	19,305	425
Norway	10/31/2024	77,005	88,610
Portugal	9/30/2024	64,125	71,615
Serbia and Kosovo: S/RES/1244 (1999)	10/31/2024	10,400	3,345
Slovenia	11/1/2024	12,670	12,230
Spain	10/31/2024	216,955	226,500
Sweden	10/30/2024	26,655	74,105
Switzerland	11/7/2024	67,530	111,485
Türkiye	11/14/2024	36,235	2,930
United Kingdom	11/12/2024	251,835	1,435
Total		2,905,280	2,789,805

წყარო: UNHCR, Operational data portal, <https://data.unhcr.org/>

მიგრანტთა კრიზისის დასაწყისში, ოპრიდის რივიერაზე სასტუმროების მფლობელებიც კი მზად იყვნენ დაეთმოთ მათი ობიექტების 30 პროცენტი უკრაინიდან ლტოლვილებისთვის. მთავრობისთვის წარდგენილ სიაში, 3,000-მდე სასტუმროს ნომერი 5,000-6,000 საწოლით იქნა შეთავაზებული, და კერძო ობიექტებთან ერთად, შესაძლებელი იყო დაახლოებით 10,000 უკრაინელი ლტოლვილის განთავსება.

ჩრდილოეთ მაკედონიაში IOM-ის მიხედვით, 2022 წლის თებერვლიდან აგვისტომდე, ლტოლვილების 67% იყო ასკუპში, 8% - ოჰრიდში, 6,6% - პრილეპში, 5,6% - ოთხმა ქალაქმა შეიკვდლა 24 თებერვლის შემდეგ ჩამოსულთა 87% (IOM North Macedonia, 2022).



წყარო: IFCR GO

უკრაინელი ლტოლვილების საზღვრის გადაკვეთის ხელშეწყობისკენ მიმართული სპეციალური ზომები განხორციელდა მაკედონიაში შემოდინების პირველ ეტაპზე. უკრაინელებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადაზღვევო ფონდში, მთავრობის მხარდაჭერით, რაც ხელს უწყობს ჯანდაცვის მომსახურებებზე წვდომას (360 Stepeni, 2022).

UNHCR-ის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ანგარიშებისა და სტატისტიკის მიხედვით, 2024 წლის დეკემბერში, დაახლოებით 1071 ინდივიდი უკრაინიდან ამჟამად ცხოვრობს მაკედონიის რესპუბლიკაში. ამ დრომდე, ყველაზე დიდი ჯგუფი შედგება 685 ინდივიდისგან, რომლებსაც აქვთ დროებითი ბინადრობა ჰუმანიტარული მიზეზებით, როგორც ეს გათვალისწინებულია უცხოელთა შესახებ კანონში. ეს სტატუსი აძლევს ქვეყანაში ცხოვრების უფლებას, მაგრამ პირებს არ აქვთ წვდომა სხვა უფლებებზე. ამას მოსდევს ჯგუფი, რომელიც მოიცავს 351 ადამიანს,

რომლებმაც დაარეგულირეს მათი ბინადრობა სხვადასხვა საფუძველზე, როგორცაა ქორწინება, სამუშაო და ა.შ. (მონაცემები მოწოდებული იქნა UNHCR-ის წარმომადგენლის მიერ მაკედონიაში პირადი კომუნიკაციის გზით, 2024 წლის 12 დეკემბერი).

5. სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები

მაკედონიის მთავრობა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც მოიცავს საზღვრის და მიგრაციის დეპარტამენტს, უცხოელების სექტორს და თავშესაფრის სექტორს, არის ძირითადი სახელმწიფო აქტორი, არეგულირებს მიგრაციისა და ლტოლვილების ნაკადებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია უცხოელების სახელმწიფოში გადაადგილებისა და ბინადრობის კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი ასევე გასცემს მგზავრობის დოკუმენტებს ლტოლვილებისთვის.

ღია კარიბჭე - ლა სტრადა (La Strada, n.d.) და მაკედონიის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (MYLA, n.d.) იყო ორი ყველაზე აქტიური ორგანიზაცია მაკედონიაში, რომლებიც სპეციალიზირდებიან იყვნენ მიგრანტებთან მუშაობაში და უკრაინელი ლტოლვილებისთვის დახმარების გაწევაში. მათი ერთგულება ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის და თავშესაფრის მაძიებლებისთვის იურიდიული დახმარების გაწევაში ამ ორგანიზაციებს მნიშვნელოვან პროვაიდერებად აქცევდა იურიდიული მხარდაჭერისთვის.

სკოპიეში უკრაინელების ასოციაცია ლესია უკრაინკა, რომელიც წარმოადგენს უკრაინულ დიასპორას მაკედონიის რესპუბლიკაში, ცნობილი გახდა როგორც ლტოლვილების მხარდამჭერი და უკრაინული საქმის ადვოკატი ქვეყნის ფარგლებში. ლტოლვილების ჩამოსვლამ ხელი შეუწყო ახალი უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაციის "უკრაინიდან დედებისა და ბავშვების ერთიანი სახლი-სკოპიე" შექმნას, რომელიც უწევს ჰუმანიტარულ დახმარებას ქალებსა და ბავშვებს. ეს ორგანიზაცია პირდაპირ თანამშრომლობს ლტოლვილებთან და იყენებს დამკვიდრებული ერთეულების, როგორცაა UNHCR, წითელი ჯვარი და ლა სტრადას მხარდაჭერას (IFRC Macedonia, 2023).

6. გამოწვევები

მიუხედავად ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს არსებობისა, მათი პრაქტიკაში განხორციელების დროს გამოიკვეთა რიგი ხარვეზები, კერძოდ, განცხადებების დამუშავების დაყოვნება და ლტოლვილებისა და მიგრანტებისთვის მომსახურებებზე შეზღუდული წვდომა.

2023 წლის 8 აგვისტოს, მაკედონიის მთავრობამ გააქტიურა დროებითი დაცვა უკრაინელი მოქალაქეებისთვის ერთი წლის ვადით, და 2024 წლის 30 ივლისს, გააგრძელა მისი ვალიდურობა კიდევ ერთი წლით, ანუ 2025 წლის 9 აგვისტომდე. დროებითი დაცვის გააქტიურების და ამ ტიპის სტატუსის აღიარების მიუხედავად, საერთაშორისო და დროებითი დაცვის შესახებ კანონი არ უზრუნველყოფს უკრაინიდან ადამიანებისთვის ეფექტური წვდომას ისეთ უფლებებზე, როგორცაა სოციალური დაცვა, დასაქმება და ჯანმრთელობის განათლება. ეს გამოწვეულია სხვა კანონებში იურიდიული ნორმების შეუსაბამობით, რომლებიც არეგულირებენ ამ უფლებებს, მათ შორის, სოციალური დაცვის შესახებ კანონი, უცხოელების დასაქმების შესახებ კანონი და ჯანდაცვის დაზღვევის შესახებ კანონი. UNHCR-მა დროულად მიმართა სახელმწიფო ხელისუფლებას ზემოაღნიშნული გამოწვევების დასაძლევად.

სამართლებრივი ჩარხო მოიცავს ფართო სფეროებს, მათ შორის თავშესაფარს, საზღვრის კონტროლს, შრომითი მიგრაციას და ლტოლვილთა დაცვას. გამოწვევები რჩება, განსაკუთრებით მიგრანტების მოპყრობის, არარეგულარული მიგრაციის მართვისა და ლტოლვილების ინტეგრაციის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგრესს მიაღწია თავისი პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში, ის დიდი სიძნელებით უმკლავდება მიმდინარე გამოწვევებს, განსაკუთრებით საზღვრის მართვის, თავშესაფრის პროცედურებისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია

Council of the European Union. (2022). *Council implementing decision [EU] 2022/328 of 4 March 2022 establishing the existence of a mass influx of displaced persons from Ukraine within the meaning of Article 5 of Directive 2001/55/EC, and having the effect of introducing temporary protection.* <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32022D0382>

Donev, D., Onceva, S., & Gligorov, I. (2002). Refugee crisis in Macedonia during the Kosovo conflict in 1999. *Croatian Medical Journal*, 43(2), 184-189.

European Asylum Support Office & Ministry of Interior of North Macedonia. (2020). *Roadmap for cooperation EASO - North Macedonia (2020–2022): Strengthening the asylum and reception systems in line with the common European asylum system and EU standards.* https://euaa.europa.eu/sites/default/files/2022-02/MK_RM_Cover.pdf

Glied, V. (2020). *Az európai migráció két arca* [Two faces of European migration]. Ad Librum.

Government of North Macedonia. (2021). *Resolution on migration policy of the Republic of North Macedonia 2021–2025.* <https://north-macedonia.iom.int/sites/g/files/tmzbd12301/files/documents/2023-02/Resolution%20on%20Migration%20Policy%20of%20The%20Republic%20of%20North%20Macedonia.pdf>

Greider, A. (2017). *Outsourcing migration management: The role of the Western Balkans in the European refugee crisis.* Migration Policy Institute. <https://www.migrationpolicy.org/article/outsourcing-migration-management-western-balkans-europes-refugee-crisis>

Human Rights Watch. (1994). *Denying ethnic identity: The Macedonians of Greece.* Human Rights Watch.

International Federation of Red Cross and Red Crescent Societies North Macedonia. (2023, April 17). Ukraine and impacted countries crisis — Emergency appeal no MGR65002, federation-wide national society response plan — North Macedonia.

International Organization for Migration North Macedonia. (2022, July–August). *Rapid impact assessment: Refugees from Ukraine – North Macedonia, round #01.* <https://dtm.iom.int/reports/north-macedonia-refugees-ukraine-rapid-impact-assessment-round-01-jul-aug-2022?close=true>

Migrants & Refugees Section. (2022). *Migration profile: North Macedonia*. <https://migrants-refugees.va/it/wp-content/uploads/sites/3/2022/08/2022-CP-North-Macedonia.pdf>

Mileski, T., & Pacemska, D. (2022). The geopolitical context of migrant routes and its impact on organised crime in the Republic of North Macedonia. *International Studies: Interdisciplinary Political and Cultural Journal*, 29(1), 49-67. <https://doi.org/10.18778/1641-4233.29.04>

North Macedonia for Ukrainians. (2024). *Temporary protection in 2024*. <https://visitukraine.today/departure/north-macedonia/ukraine-citizenship/temporary-protection?srsId=AfmBOor40Qh18SKbhkgcf8zWjrzp8JXTSDVFW3AtpTCCquuLYe5JggoT>

Republic of North Macedonia, Ministry of Foreign Affairs. (2022). *Review of the implementation status of the global compact for migration (GCM) in the Republic of North Macedonia*. <https://migrationnetwork.un.org/system/files/docs/North%20Macedonia%20-%20Voluntary%20GCM%20Review.pdf>

Smilevska-Kcheva, M., Kochovski, I., & Macedonian Young Lawyers Association. (2018). Refugees as a security concern in the Republic of Macedonia — reality or misuse of law? In B. Bozhinovska (Ed.), *Refugees as a security concern in the Republic of Macedonia — reality or misuse of law?* (pp. 1-10). Macedonian Young Lawyers Association. <https://myla.org.mk/wp-content/uploads/pdf/Refugees-as-a-security-concern-in-the-Republic-of-Macedonia.pdf>

UNHCR. (2024, November 15). *UNHCR submission for the universal periodic review – North Macedonia – UPR 46th session*. UNHCR's Global Law and Policy Database.

Vitorino, A., & Touzenis, K. (2019). Glossary on migration. In A. Sironi, C. Bauloz, & M. Emmanuel (Eds.), *Glossary on migration* (pp. 1-244). International Organization for Migration. https://publications.iom.int/system/files/pdf/iml_34_glossary.pdf

1. მიგრაციის ისტორიული კონტექსტი

საქართველოს, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, გააჩნია უნიკალური მიგრაციული ლანდშაფტი, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული მოვლენებითა და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებით. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ქვეყანაში პერიოდულად იცვლებოდა მიგრაციული ტენდენციები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა შრომის ბაზარზე, სოციალურ ინტეგრაციაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე.

საქართველოში მიგრაციის ისტორიული კონტექსტი მოიცავს რამდენიმე მთავარ პერიოდს, კერძოდ:

- საბჭოთა ეპოქა (1921-1991) - საბჭოთა პერიოდში საქართველო იყო დიდი პოლიტიკური ერთეულის ნაწილი, რომელიც ხელს უწყობდა შიდა მიგრაციას მთელი კავშირის მასშტაბით. საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკა მიზნად ისახავდა მოსახლეობის გადანაწილებასა და რეგიონის ინდუსტრიალიზაციას, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები.
- დამოუკიდებლობა და სამოქალაქო კონფლიქტი (1991-2000) - საბჭოთა კავშირის კოლაფსისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, რასაც დამატებით ახლდა შიდა კონფლიქტები. 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე შეიარაღებულმა ომებმა გამოიწვია მასობრივი გადაადგილება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, მათ შორის მეზობელ ქვეყნებში, ევროპასა და შერეულ შტატებში (Shenfield, 2015).
- კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქცია და ევროკავშირისკენ მისწრაფებები (2000-დღეს) - 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებულმა რეფორმებმა განაპირობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უფრო ნათლად ჩამოყალიბება ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, თუმცა ეკონომიკური სირთულეების გამო საკმაოდ მოცულობითი იყო შრომითი მიგრაციის ნაკადები, დანიშნულების საბოლოო ქვეყნებიდან კი აღსანიშნავია საბერძნეთი, იტალია და რუსეთი. ემიგრაციულ ნაკადებთან ერთად გაიზარდა იმიგრანტების რაოდენობაც, განსაკუთრებით კვალიფიციური მუშახელისა და ინვესტორების მოზიდვა, როგორც ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ნაწილი.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1990-იანი და 2000-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში ემიგრაციის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე იმიგრაციის, რაც განპირობებული იყო ეკონომიკური ფაქტორებით. აღნიშნული პერიოდი ასევე ხასიათდება ქართული დიასპორის ჩამოყალიბებითა და გაძლიერებით ძირითადად რუსეთსა და ამერიკის შერეულ შტატებში, სადაც

საქართველოს მოქალაქეები ყველაზე დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი (Grosse & Quitzow, 2018).

2. მიგრაციის ტენდენციები საქართველოში


ქართული დიასპორები აერთიანებენ ემიგრაციაში მყოფ 1.5-2 მილიონ ადამიანს (World Bank, 2022), მათ შორის, რუსეთი ლიდერობს ისტორიისა და გეოგრაფიული სიახლოვის გამო, მას მოსდევს საბერძნეთი, თურქეთი, ისრაელი და ამერიკის შეერთებულ შტატები. დიასპორა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში ფულადი გზავნილების საშუალებით, რომლებიც შეადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10-15%-ს (World Bank, 2022).

შიდა მიგრაცია მიმართულია ურბანული ცენტრებისკენ, რამაც განაპირობა თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის მოსახლეობის მკვეთრი ზრდა. სოფლების დეპოპულაცია წარმოადგენს ძირითად გამოწვევას რეგიონულ განვითარების თვალსაზრისით (Kveshenava, 2010). ახალგაზრდების მიგრაცია ძირითადად ურბანული ტერიტორიებისკენ და საზღვარგარეთისკენაა მიმართული განათლებისა და უკეთესი დასაქმების პირობების გამო, რამაც გამოიწვია სოფლის მოსახლეობის გადაბერება.

შრომითი მიგრანტების დიდი ნაწილი დასაქმებულია სეზონურ ან დროებით სამუშაო ადგილებზე ისეთ სექტორებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და ტურიზმი (Grosse & Quitzow, 2018).

ბოლო წლებში, საქართველო მიმზიდველი დანიშნულების ქვეყნად იქცა უცხოელი მიგრანტებისთვის მეზობელი ქვეყნების მოსახლეობისთვის, როგორცაა სირია და უკრაინა, რაც გამოწვეულია აღნიშნულ ქვეყნებში კონფლიქტით და ამავდროულად საქართველოში გამარტივებული სავიზო რეჟიმით (UNHCR, 2020). მიგრანტების მეორე ტიპს მიეკუთვნებიან საერთაშორისო სტუდენტები და სეზონური მუშაკები.


EMN-ის სტატისტიკური მონაცემები მიგრაციის ნაკადების შესახებ 2019-2022 წლებში.



2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 54,200 უცხო ქვეყნის მოქალაქეს ჰქონდა მოქმედი ბინადრობის ბარათი, რაც თითქმის იგივეა, რაც 2018 და 2019 წლებში. 2020 წელთან შედარებით, როდესაც რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა COVID-19 პანდემიის გამო, 2022 წლისთვის 26%-იანი ზრდაა ნაჩვენები. 2022 წელს მოქმედი დროებითი ბინადრობის

ბარათების რაოდენობა ალემატება მუდმივი რეზიდენტების რაოდენობას (EMN Annual Report, 2023).

2022 წელს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გაცემული ბინადრობის ნებართვების უმრავლესობა იყო დროებითი და ძირითადად გაიცა სწავლის (43%), სამუშაოს (20%) და ოჯახის გაერთიანების (8%) მიზნით. 2019 წლისგან განსხვავებით სასწავლო ნებართვებმა გადააჭარბა სამუშაო ბინადრობის ნებართვებს. დამატებით, 2022 წელს გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების რაოდენობა გაორმაგდა წინა წელთან შედარებით (EMN Annual Report, 2023).



Source: Public Service Development Agency of Georgia.

2019 წელს დროებითი სამუშაო ბინადრობის ნებართვების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა 2018 წელთან შედარებით და 2020 წელს მიაღწია ყველაზე დაბალ წერტილს. მას შემდეგ, რიცხვები იზრდებოდა და 2022 წლისთვის პანდემიამდე დონეს მიაღწია, კერძოდ 4,712 ნებართვა, რომელთა უმრავლესობა გაიცა ჩინეთის, რუსეთისა და თურქეთის მოქალაქეებისთვის (EMN Annual Report, 2023).

Distribution of work residence permits issued by year and citizenship

2018	2019	2020	2021	2022
Iran 2 449	China 1 333	China 1 274	China 1 518	China 969
China 1 294	Turkey 616	Turkey 540	Turkey 737	Russia 755
Turkey 1 190	Iran 525	Ukraine 210	Russia 249	Turkey 720
India 404	India 259	Russia 203	Iran 173	Belarus 411
Russia 294	Russia 241	Iran 195	Ukraine 162	India 339
Other 1 545	Other 1 083	Other 863	Other 1 058	Other 1 518
Total 7 176	Total 4 057	Total 3 285	Total 3 897	Total 4 712

Source: PSDA

2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საწარმოების 8% (3,884) დაიქირავა 17,851 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რაც წარმოადგენს მთელი დასაქმების 2%-ს. წინა წელთან შედარებით, უცხოელი მუშაკების რაოდენობა საქართველოში 2022 წელს 78%-ით გაიზარდა (EMN Annual Report, 2023).

2022 წელს, სულ 10,046 სასწავლო მიზნით ბინადრობის ნებართვა გაიცა, რაც 2021 წელთან შედარებით გაორმაგებულია; მათი უმრავლესობა (52%) გაიცა ინდოეთის მოქალაქეებისთვის (EMN Annual Report, 2023).

Distribution of study residence permits issued by year and citizenship

2018		2019		2020		2021		2022	
India	4 486	India	4 068	India	2 292	India	1 917	India	5 259
Iran	326	Iran	607	Iran	456	Nigeria	475	Jordan	735
Nigeria	268	Nigeria	321	Nigeria	316	Iran	440	Egypt	682
Egypt	158	Egypt	215	Egypt	213	Egypt	435	Nigeria	541
Jordan	96	Jordan	158	Jordan	167	Jordan	371	Russia	513
Other	723	Other	663	Other	701	Other	1 273	Other	2 316
Total	6 057	Total	6 032	Total	4 145	Total	4 911	Total	10 046

Source: PSDA


2022 წელს 1,826 დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცა ოჯახის გაერთიანების მიზნით, რაც გაუტოლდა 2018-2019 წლების პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელს.

Distribution of family reunification residence permits issued by year and citizenship

2018		2019		2020		2021		2022	
Iran	907	Iran	856	Iran	381	Russia	336	Russia	641
Turkey	219	Russia	171	Russia	260	Iran	273	Iran	267
Russia	137	Turkey	149	Ukraine	160	Ukraine	160	Belorussia	192
India	128	India	124	Turkey	132	Turkey	156	Turkey	151
Azerbaijan	86	Azerbaijan	80	India	102	Azerbaijan	102	Ukraine	135
Other	400	Other	362	Other	414	Other	511	Other	440
Total	1 877	Total	1 742	Total	1 449	Total	1 538	Total	1 826

Source: PSDA

2021 წლის მონაცემებთან შედარებით, 2022 წელს გაიზარდა ბინადრობის ნებართვების გაცემაზე უარიც.



მიგრაცია საქართველოში გამოწვეულია მრავალი ფაქტორით - ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური - რომლებიც ხშირად ერთმანეთთან დაკავშირებულია:

- **ეკონომიკური ფაქტორები** - საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი მერყეობს 15-20%-ს შორის, ხოლო ხელფასები რჩება დაბალი ევროპულ სტანდარტებთან შედარებით (National Statistics Office of Georgia, 2023). შეზღუდული ინდუსტრიული დივერსიფიკაცია და ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა ქმნის გარემოს, სადაც ბევრი ახალგაზრდა ქართველი ეძებს შესაძლებლობებს საზღვარგარეთ. ფულადი გზავნილები, რომლებიც ოჯახებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, კიდევ უფრო მეტად ასაბუთებს ეკონომიკური მიგრაციის მნიშვნელობაზე (World Bank, 2022).
- **პოლიტიკური ფაქტორები** - ბოლო ათწლეულების მანძილზე მომხდარმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებმა გამოიწვია აღნიშნული ტერიტორიული ერთეულებიდან მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, რომელთა ნაწილი ემიგრაციაშია (UNHCR, 2020). პოლიტიკური არასტაბილურობა და რეგიონული დამაბულობა ხელს უშლის უცხოურ ინვესტიციებსა და შესაბამისად, ეკონომიკურ განვითარებას. მიგრაციის ნაკადების ზრდა ასევე განპირობებულია ევროპულ ინსტიტუტებთან და ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციის სურვილით, რასაც ხელი შეუწყო ვიზალიბერალიზაციამ და გამარტივებულმა გადაადგილების შესაძლებლობებმა.
- **სოციალური ფაქტორები** - სოციალურ ფაქტორებს შორის ოჯახის გაერთიანება ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიგრაციის გადაწყვეტილებაზე. ბევრი ქართველი მიგრირებს საზღვარგარეთ ნათესავებთან ან უკეთესი ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური მომსახურების მისაღებად. დიასპორა ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებას, ნაწილობრივ ფინანსურ მხარდაჭერას და სოციალური კავშირების უზრუნველყოფას.
- **გარე ფაქტორები** - დანიშნულების ქვეყნებში ეკონომიკურმა კრიზისმა, მერყეობმა ხელფასებმა ან შეზღუდული მიგრაციის პოლიტიკამ შეიძლება შეცვალოს საქართველოს მიგრაციული ნაკადების ტენდენცია (Grosse & Quitzow, 2018). COVID-19 პანდემიამ კიდევ უფრო გაართულა ეს დინამიკა, დროებით შეაჩერა მიგრაციის ნაკადები და გავლენა მოახდინა იმ საარსებო საშუალებებზე, რომლებიც სასიცოცხლოა მიგრანტთა ოჯახებისთვის.

3. მიგრაციის სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში

საქართველომ შეიმუშავა ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩო მიგრაციის რეგულირებისთვის, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და რეგიონულ ვალდებულებებთან. სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

საქართველოში მიგრაციის რეგულირების ძირითადი სამართლებრივი ნორმებია შემდეგი:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ;

- საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივ მდგომარეობაზე;
- საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ;
- საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ;
- საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ;
- საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) ბარათისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ;
- საქართველოს კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ;
- საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ;
- საქართველოს კანონი ქართველი მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესებისა და პროცედურების შესახებ.

საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევად ვიზის რეჟიმების გამარტივება და ლიბერალიზაციაა, განსაკუთრებით ევროკავშირსა და შენგენის ქვეყნებთან უვიზო მგზავრობის შეთანხმებების შემოღების შემდეგ (European Commission, 2019). საქართველოს იყენებს საზღვრის კონტროლთან დაკავშირებით სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის, ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება, საზღვრის ზედამხედველობა, რათა თავიდან აიცილოს არალეგალური მიგრაცია და უზრუნველყოს უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დაცვა.

სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს განსხვავებულ პროცედურებს მიგრანტების სხვადასხვა კატეგორიისთვის, მათ შორის, შრომითი მიგრანტებისთვის, სტუდენტებისა და ლტოლვილებისთვის, რაც ასახავს ქვეყნის მიდგომას პოლიტიკური ინკლუზიურობისკენ (Government of Georgia, 2019).

საქართველოს მიერ რატიფიცირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ავსებენ მიგრაციის ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, კერძოდ:

- 1951 წლის ლტოლვილთა კონვენცია და მისი 1967 წლის დამატებითი ოქმი, რომლებიც განსაზღვრავენ ლტოლვილების უფლებებს და ადგენენ სახელმწიფოების ვალდებულებებს მათი დასაცავად (UNHCR, 2020);
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული კონვენცია, რომელიც ქვეყანას აკისრებს ადამიანის უფლებების სტანდარტების დაცვის ვალდებულებას განურჩევლად მათი სტატუსისა (Council of Europe, 2010).

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) საშუალებით, რომელიც მოითხოვს საზღვრის კონტროლის, რეადმისიის შეთანხმებებისა და მიგრაციის მართვასთან დაკავშირებული გარკვეული სამართლებრივი სტანდარტების დაცვას. საქართველოს ასევე აქვს ორმხრივ შეთანხმებები საზღვრის მართვისა და მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით მეზობელ სახელმწიფოებთან, როგორცაა რუსეთი და თურქეთი.

გარდა ამისა, საქართველო არის რეგიონული ინიციატივების ნაწილი, როგორცაა შავი ზღვის რეგიონში მიგრაციისა და თავშესაფრის საერთო პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი თანამშრომლობის გაძლიერებას და მეზობელ ქვეყნებს შორის მიგრაციის პოლიტიკის ჰარმონიზაციას (Boka & Kandelaki, 2020).

ევროპული მიგრაციის ქსელის (EMN) 2022 წლის ანგარიში მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ ნათლად ასახავს საქართველოს ძალისხმევას მიგრაციის ნაკადების მართვის, მოწყვლადი მოსახლეობის დაცვისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ანგარიშში ასახულია 2022 წლიდან გარკვეული მკვეთრი ცვლილებები საქართველოს მიგრაციულ დინამიკაში, რაც განპირობებულია რუსეთ-უკრაინის ომით. გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები (EMN Report, 2023). ამის საპასუხოდ, მთავრობამ გაატარა ღონისძიებები საზღვრის კვეთის პროცედურების გამარტივებისა და აუცილებელი მომსახურებების უზრუნველყოფისთვის, რაც ხაზს უსვამს ჰუმანიტარული პრინციპების ერთგულებას.

წარმოდგენილ ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს მიმდინარე ძალისხმევას შრომითი მიგრაციის ჩარჩოს მოდერნიზაციისთვის. შრომითი მიგრაციის შესახებ კანონის ცვლილებები მიზნად ისახავს შრომითი ნაკადების მართვის, მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებასა და მიგრანტი მუშაკების დაცვის გაძლიერებას (EMN Report, 2023). შრომითი მიგრაციის რეგულირებითა და უცხოელი თანამშრომლებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის დაწესებით, საქართველო ცდილობს მისი შრომის ბაზრის ფორმალიზებას.

დადებით გამოხმაურებასთან ერთად, ანგარიშში მოცემულია არალეგალური მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის პრობლემებზე. საზღვრის მართვის გაძლიერებისა და ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის ძალისხმევის მიუხედავად, საქართველოში არალეგალურად მყოფი უცხოელების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2022 წელს (EMN Report, 2023). ანგარიში ასევე ეხება ადამიანით ვაჭრობის იდენტიფიცირებულ მსხვერპლებს - აზერბაიჯანის ორ მოქალაქესა და საქართველოს ერთ მოქალაქეს (EMN Report, 2023). ეს მიუთითებს გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესების, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერებისა და ვაჭრობის თავიდან აცილებისა და მისი მოგვარების მიზნობრივი ჩარევების მუდმივ საჭიროებაზე.

EMN ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკასა და პროგრამებზე. მთავრობამ შეიმუშავა სახელმწიფო ენის ახალი პროგრამა მიგრანტებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ენობრივი და სამოქალაქო კომპეტენციების გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბების ხელშეწყობას (EMN Report, 2023).

ანგარიში კიდევ უფრო დეტალურად განიხილავს ცვლილებებს უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებით. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის ცვლილებები მიზნად ისახავს “ყოფილი” ქართველი მოქალაქეებისა და საქართველოდან წარმოშობილი პირებისთვის მოქალაქეობაზე წვდომის გაადვილებას. დამატებით, მოქალაქეობის არმქონე სტატუსის განსაზღვრისთვის მომსახურების


საფასურის გაუქმება ასახავს ქვეყნის ძალისხმევას მოქალაქეობის არმქონე პირების მდგომარეობის დასარეგულირებლად, განსაკუთრებით UNHCR-თან თანამშრომლობით (EMN Report, 2023).

EMN მიერ გამოქვეყნებული 2023 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ინფორმაცია წარმოადგენს ყველაზე ახალ მონაცემებს, რაც იძლევა ქვეყანაში მიგრაციის დინამიკის ძირეულ და ყველაზე სრულყოფილ სურათს. ერთ-ერთი მთავარი გადადგმული ნაბიჯია პოლიტიკის დოკუმენტის მიღება - 2030 განვითარების სტრატეგიის, რომელიც შეიცავს 2021-2030 მიგრაციის სტრატეგიასთან დაკავშირებულ მიზნებს (EMN Factsheet, 2023).

EMN-ის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ ბინადრობის ბარათების მქონე უცხოელების რაოდენობა 2022 წელს გაიზარდა, მოკლევადიანი ვიზების რაოდენობა შემცირდა. სამი ქვეყანა, რომელთა მოქალაქეებსაც ყველაზე ხშირად ენიჭებოდათ მოკლევადიანი ვიზები, არის ჩინეთი, ეგვიპტე და ინდოეთი (EMN Factsheet, 2023).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკრაინელი ლტოლვილების მიმართ გამართვდა საზღვრის კვეთისა და ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურები. დროებითი საცხოვრებლის, ფინანსური დახმარების, ჯანდაცვისა და განათლების გაზრდილი შესაძლებლობები ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან კონფლიქტში დაზარალებული მოწყვლადი მოსახლეობისთვის მხარდაჭერას (EMN Factsheet, 2023).


Three countries whose citizens most often received positive first instance asylum decisions, 2022
(rounded number of decisions)



Note: the values in brackets is the share of all positive first instance decisions.
Source: Ministry of Internal Affairs of Georgia.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის თანახმადაც გაიზარდა უარი უცხოელებისათვის საზღვრის კვეთისა და ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, რაც ხაზს უსვამს საზღვრის მართვისა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროებას არალეგალური მიგრაციის ნაკადების დასარეგულირებლად.

Number of foreigners subject to immigration law enforcement, 2019–2022



Note: the value in brackets is the number of foreigners subject to immigration law enforcement per 1 000 people.
Source: Ministry of Internal Affairs of Georgia.

4. საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში

საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა განხილულია კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის უფრო ფართო რეგიონულ კონტექსტში, რაც ასახავს მის სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობას, გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და ევროპული ინტეგრაციისკენ მისწრაფებებს. მისი მიდგომა მიგრაციის მართვაში შეესაბამება რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივებს და საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც მიზნად ისახავს სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობას რეგიონში.

რეგიონული კონტექსტი

საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა უნდა გაუმკლავდეს რთულ რეგიონულ დინამიკას, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო ნაკადებს, კონფლიქტებთან დაკავშირებულ საერთო გამოწვევებს და მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას. კავკასიის რეგიონი ხასიათდება მნიშვნელოვანი მიგრაციული ნაკადებით, როგორცაა შრომითი მიგრაცია, კონფლიქტების გამო იძულებითი გადაადგილება და ტრანზიტული მიგრაცია. საქართველოს თითოეულ მეზობელ ქვეყანას (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი), აქვს მიგრაციის ეროვნული პოლიტიკა, რაც გავლენას ახდენს საქართველოს მიდგომაზე საზღვრის მართვაში, განსაკუთრებით უსაფრთხოების კონტექსტში (Boka & Kandelaki, 2020).

უფრო ფართო აღმოსავლეთ ევროპული რეგიონის კონტექსტში, საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა ფოკუსირებულია უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების დაბალანსებაზე. ქვეყანამ მიიღო მოქნილი ვიზის პოლიტიკა, მათ შორის, უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან და რამდენიმე მეზობელ სახელმწიფოსთან, რათა ხელი შეუწყოს ლეგალურ მიგრაციას და გაუადვილოს გადაადგილება ისეთი მიზნებისთვის როგორცაა ბიზნესი, ტურიზმი, საზოგადოებრივი კავშირები. მსგავსი მიდგომა ემსახურება ორივე მხარეს, განსაკუთრებით, საქართველოს ეკონომიკურ ზრდასა და რეგიონული ინტეგრაციის (European Commission, 2019).

საქართველო აქტიურად არის ჩართული ადამიანით ვაჭრობისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩართულია მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლას, როგორცაა შავი ზღვის საზღვრის მართვის ინიციატივა და მიგრაციაზე რეგიონული კონფერენცია მიგრაციის შესახებ. ეს პლატფორმები ხელს უწყობენ ინფორმაციის გაზიარებას, ერთობლივ პატრულირებასა და საზღვრის უსაფრთხოების ღონისძიებების ჰარმონიზაციას მიგრაციის ნაკადების ეფექტური მართვაში (Boka & Kandelaki, 2020).

საერთაშორისო პარტნიორობა

საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი მიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და რეგიონული პოლიტიკის გაძლიერებაში. ქვეყანა ინარჩუნებს მჭიდრო თანამშრომლობას გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან (UNHCR), რომელიც უჭერს მხარს ლტოლვილთა დაცვის, თავშესაფრის პროცედურებისა და ინტეგრაციის პროგრამების განვითარებას. პარტნიორობა ფოკუსირებულია შესაძლებლობების განვითარებაზე, სამართლებრივ რეფორმასა და კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესებაზე (UNHCR, 2020).

საქართველო თანამშრომლობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამებსა და საზღვრის მართვის მოდერნიზაციაზე. IOM-ის აქტივობები მიზნად ისახავს ლეგალური მიგრაციის გზების გაუმჯობესებას, ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლას და მიგრაციის მართვის ორგანოების ფუნქციონირების დახვეწას (IOM, 2021). ორგანიზაციის ტექნიკური და ფინანსური დახმარება აუცილებელი იყო ისეთი რეფორმების განხორციელებისთვის, როგორცაა ციფრული მიგრაციის პლატფორმა, რომელმაც გაამარტივა ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების დამუშავება.

საქართველოს პარტნიორობა ევროკავშირთან (ევროკავშირი) განსაკუთრებით გამორჩეულია. ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) საშუალებით, საქართველომ ვალდებულება აიღო შეუსაბამოს მიგრაციის პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტებს საზღვრის მართვაში, რეადმისიის შეთანხმებებსა და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ღონისძიებებში (European Commission, 2019).

საქართველო აქტიურად მონაწილეობს რეგიონულ ფორუმებსა და მრავალმხრივ ინიციატივებში, მათ შორის შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC) და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების პლატფორმა, რომლებიც მიზნად ისახავს საზღვრის უსაფრთხოებისა და მიგრაციის მართვაზე თანამშრომლობის ხელშეწყობას. ეს მრავალმხრივი ჩარჩოები უზრუნველყოფს საქართველოსთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას პოლიტიკის ჰარმონიზაციასა და რეგიონული სტაბილურობის გაძლიერებას (Boka & Kandelaki, 2020).

5. მიგრაციის მართვის გამოწვევები

საქართველოს მიგრაციის მართვის სისტემა ცდილობს გაუმკლავდეს პრობლემებს მთელ სპექტრს, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც მიგრანტებზე, ასევე უფრო ფართო საზოგადოებაზე. ამ გამოწვევების დარეგულირება გადამწყვეტია ეფექტური პოლიტიკის

შემუშავებისთვის, რომელიც ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული პირის კეთილდღეობას, კერძოდ:

- არალეგალური მიგრაცია - დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც პირი ცდილობს შესაბამისი დოკუმენტაციის არარსებობის პირობებშიც გადმოკვეთოს საზღვარი ან დარჩეს ქვეყანაში. არალეგალური მიგრანტები შეიძლება იყვნენ მოწყვლადები ექსპლუატაციისა და ძალადობის მიმართ, რაც, თავის მხრივ, ართულებს ადამიანის უფლებების დაცვას.
- თავშესაფრისა მაძიებელთა და ლტოლვილთა ნაკადების მართვა - თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილების მზარდი რაოდენობა განაპირობებს განაცხადების ეფექტური დამუშავებისა და ამავდროულად სამართლიანი პროცესისა და უფლებების დაცვის სირთულეს. არასაკმარისი რესურსები იწვევს მიღების ცენტრების გადატვირთვას და ამავდროულად ამცირებს საზოგადოების მხარდაჭერას.
- ინტეგრაციის საკითხები - მიგრანტების, განსაკუთრებით ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლების, საზოგადოებაში ინტეგრაცია რჩება რთულ ამოცანად. ენობრივი ბარიერი, კულტურული განსხვავებები და დასაქმებაზე შეზღუდული წვდომა წარმოადგენს წარმატებული ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორებს. აუცილებელია ინტეგრაციის ეფექტური სტრატეგიის შემუშავება სოციალური თანასწორობის ხელშეწყობისათვის და ისეთი გარემოს უზრუნველსაყოფად, რომ მიგრანტებმა შეძლონ დადებითი წვლილის შეტანა საზოგადოებაში.
- ადამიანის უფლებების დაცვა - მიგრანტები ხშირად არიან ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი, მათ შორის, დისკრიმინაციის, ექსპლუატაციის და სხვ.
- საზოგადოების დამოკიდებულება და ქსენოფობია - მიგრანტების მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია; საზოგადოების ზოგიერთი სეგმენტი გამოხატავს ქსენოფობიურ განწყობას ან მიგრანტებს აღიქვამს როგორც ეკონომიკურ კონკურენტებს. საზოგადოების უარყოფითმა დამოკიდებულებამ შეიძლება გაართულოს ინკლუზიური პოლიტიკისა და პროგრამების შექმნის ძალისხმევა.

6. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების ტენდენციები და აუცილებელი რეფორმები

მიუხედავად იმ სხვადასხვა პროგრესული ნაბიჯებისა, რომლებიც საქართველომ გადადგა ბოლო 10 წლის განმავლობაში, კვლავ არსებობს ზოგიერთი ხარვეზი სამართლებრივ ჩარჩოში, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკაზე. აღნიშნული გამოწვევების დაძლევის გარეშე, შეუძლებელია ამ მიმართულების შემდგომი განვითარება. აუცილებელია შემდეგი რეფორმების გატარება:

ინსტიტუციური და პროცედურული რეფორმები

- თავშესაფრის განაცხადებისთვის უფრო სწრაფი და ეფექტური პროცედურების განხორციელება ლოდინის დროის შესამცირებლად;
- თავშესაფრისა და გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება ტრენინგისა და რესურსების გამოყოფის საშუალებით;

- საზღვრის კონტროლის მოდერნიზაცია და მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება არალეგალური მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების შესამცირებლად;
- მიგრაციის ტენდენციების თვალყურის დევნების, პოლიტიკის ეფექტურობის შეფასებისა და მომავალი დაგეგმვისათვის მონაცემთა შეგროვების თანამედროვე სისტემებში ინვესტირება;
- კვლევის ხელშეწყობა მიგრაციის ადგილობრივ საზოგადოებასა და ეკონომიკაზე ზეგავლენის იდენტიფიცირებისათვის.

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია:

- ენისა და პროფესიული განათლების ძლიერი პროგრამების შემუშავება მიგრანტების შრომის ბაზარში ინტეგრაციისა და საჭირო უნარებით აღჭურვისთვის;
- მიგრანტებსა და ადგილობრივ საზოგადოებებს შორის ურთიერთქმედებისა ხელშემწყობი ინიციატივების ხელშეწყობა
- შრომის ბაზრის ანალიზი, სამუშაო ძალის დეფიციტის მქონე სექტორების იდენტიფიცირებისა და კვალიფიციური მიგრანტებისთვის ამ ხარვეზების შესავსები გზების შექმნისთვის
- უცხოელი მუშაკებისთვის ვიზისა და სამუშაო ნებართვის პროცედურების გამარტივება მაღალკვალიფიციური მიგრანტების მოსაზიდად.

ადამიანის უფლებების დაცვა და დახვეწილი საკანონმდებლო ჩარჩო

- მიგრაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტებში აუცილებელი ცვლილებების განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმების დაწესება მიგრანტების მიმართ მოპყრობაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის.

დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება

- კვალიფიკაციის არმქონე პირებისთვის ჰუმანური და ეფექტური დაბრუნების პოლიტიკის შემუშავება, ნებაყოფლობითი დაბრუნების მხარდაჭერის გათვალისწინებით;
- რეინტეგრაციის პროგრამების შექმნა დაბრუნებული პირების წარმოშობის ქვეყნებში რეინტეგრაციის ხელშესაწყობად.

bibliografia

Boka, K., & Kandelaki, K. (2020). Regional cooperation on migration in the Black Sea region. *Caucasus Analytical Digest*, 112, 15-19. <https://doi.org/10.2139/ssrn.3668050>

Council of Europe. (2010). *European Convention on Human Rights*. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168007a3a4>

European Commission. (2019). *Georgia report on visa liberalization*. https://ec.europa.eu/home-affairs/sites/default/files/what-we-do/policies/eu-list-restrictions/docs/georgia_report_en.pdf

European Migration Network. (2023a). *EMN annual report on migration and asylum 2022: Georgia*. Tbilisi.

- European Migration Network. (2023b). *EMN country factsheet 2022: Georgia*. European Union.
- Government of Georgia. (2013). *Law of Georgia on the Legal Status of Aliens and Stateless Persons*. <https://matsne.gov.ge/en/document/view/2298853>
- Government of Georgia. (2018a). *Annual report on internally displaced persons*. Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees. <https://mra.gov.ge/en>
- Government of Georgia. (2018b). *Annual report on migration policy*. Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees. <https://mra.gov.ge/en>
- Government of Georgia. (2019a). *Law on the Anti-Trafficking and Exploitation of Migrants*. <https://matsne.gov.ge/en/document/view/4649625>
- Government of Georgia. (2019b). *Law on the Migration Code*. <https://matsne.gov.ge/en/document/view/4649625>
- Grosse, T., & Quitzow, R. (2018). *Migration and development in Georgia: Opportunities and challenges*. European University Institute. <https://doi.org/10.2870/374723>
- International Organization for Migration. (2021). *Migration governance in Georgia: Policy and program overview*. <https://iom.ge>
- Kveshenava, N. (2010). Migration and demographic change in Georgia. *Caucasus Analytical Digest*, 22, 10-12. <https://doi.org/10.2139/ssrn.1678079>
- Migration Service of Georgia. (2022). *Annual report on migration management*. <http://migration.gov.ge>
- National Statistics Office of Georgia. (2023). *Labour market overview*. <https://www.geostat.ge/en>
- Ombudsman of Georgia. (2021). *Report on migrants' rights and legal protections*. <https://ombudsman.ge/en>
- Shenfield, F. (2015). Georgia's displacement crisis: The long-term impact of regional conflict. *Journal of Refugee Studies*, 28(3), 385-402. <https://doi.org/10.1093/jrs/fev015>
- UNHCR. (2020a). *Georgia country profile*. <https://www.unhcr.org/georgia.html>
- UNHCR. (2020b). *Global refugee trends: Georgia profile*. <https://www.unhcr.org/ga/>
- United Nations Office on Drugs and Crime. (2000). *Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime*. <https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html>
- World Bank. (2022). *Remittances to Georgia. World Bank Migration and Development Brief*. <https://www.worldbank.org/en/topic/migrationremittancesdiaspora>



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბროკსაიანს №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com